619
1969

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ჭადრაკი

№ 6 ივნისი 1969



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

მთელი პროგრესული კაცობრიობა და განსაკუთრებით საბჭოთა ქვეყანა უდიდეს ყურადღებას აქცევენ ბავშვთა დაცვის საქმეს.

ნორჩი თაობა — ჩვენი სიცოცხლის მომავალია. დღევანდელი ბავშვები ქვეყნის ხვალინდელი ბატონ-პატრონები არიან.

ბავშვისკენ არის მიპყრობილი მშობლის მზრუნველი თვალი. ბავშვებისაკენ მიპყრობილია ყველას გულისყური, ვისაც კი სურს, რომ ხვალინდელი დღე დღევანდელს სჯობდეს და ბედნიერება სუფევდეს დედამიწაზე.

ჩვენს დიად სამშობლოში ბავშვებს ცხოვრებისა და სწავლის ყველა პირობა აქვთ; მათზე მზრუნველობა ჩვენი პარტიის, ჩვენი მთავრობის ყურადღების ცენტრში დგას.

სოციალური უსამართლობა, რომელიც სუფევს კაპიტალის ქვეყნებში, ნორჩ თაობას, მშრომელთა შვილებს, გზას ულობავს სიხარულისა და ბედნიერებისაკენ

ბრძოლა კაცობრიობის ნათელი მომავლის, თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის, ეს, იმავე დროს, არის ბრძოლა ნორჩი თაობის დასაცავად.

ბრძოლა მშვიდობისათვის, რომლის ავანგარდში დგას ჩვენი სამშობლო, ეს, იმავე დროს, არის ბრძოლა ნორჩი თაობის მზიანი მომავლის უზრუნველსაყოფად.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 6 (391) ივნისი, 1969 წ.

გამოცემის წელი 47-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კ პ ც კ გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე ვხვდებით დიდ იუბილეს



10.925

## მოწოდების საპასუხოდ



ცნობილმა ქუთაისელმა ავტომშენებელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ხაზარაძემ შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა. მან მიმართა საქართველოს სოციალისტური შრომის გმირებს მოწოდებით დამკვრელურად გამოეცხადებინათ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილემდე დარჩენილი წელიწადი. ამ მოწოდებას გამოეხმაურა თბილისელი ჩარხმშენებელი, სოციალისტური შრომის გმირი შ. ფირცხალავა, რომელმაც განაცხადა, რომ ეს მოწოდება მარტო მათ, სოციალისტური შრომის გმირებს როდი ეხებათ. იგი დამკვრელური შრომის სტიმულს აძლევს ყველა საბჭოთა პატრიოტსა და მოქალაქეს.

ლენინური შრომის ვახტი თავისთავად დამკვრელურია, მაგრამ მსურს რომ წელიწადი, რაც ამ დიად თარიღამდე დარჩა, კიდევ უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისა და შრომითი წარმატებების წელიწადი იყოს ჩვენთვის.

ქარხანა „ელექტროგამშვებში“ მე ვმუშაობ დღიდან მისი დაარსებისა — 12 წელი; მივაღწიე იმას, რომ ჩემს მიერ დამზადებულ პროდუქციას ტექნიკური კონტროლის განყოფილება არ ამოწმებს. ჩემს მიერ დამზადებულ ყველა დეტალს ჩემივე საკუთარი ნიშანი ადევს.

პირობას ვიძლევი, ამ დამკვრელურ წელიწადს ჩემი საწარმოო გეგმა შევასრულო არა 120-140 პროცენტით, როგორც აქამდე იყო, არამედ 150-160 პროცენტით და შევქმნა მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია.

**დავით ინაშვილი,**

ლენინური კომკავშირის სახელობის ქარხანა „ელექტროგამშვები“.

## ვიღებ ვალდებულებას

ახლოვდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილე, ახლოვდება ის დღე, როცა დიდი ლენინის მიერ შექმნილი პირველი სოციალისტური სახელმწიფოს-- საბჭოთა კავშირის ხალხები, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად ზეიმით აღნიშნავენ ამ დიდებულ თარიღს.



ჩვენ, ლენინურ შრომითს ვახტზე მდგომი საბჭოთა ადამიანები, მათ შორის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ამ ღირსშესანიშნავ იუბილემდე დარჩენილი დრო გადავაქციოთ დამკვრელური შრომის წელიწადად, გაზრდილი ვალდებულებებისა და ახალი შრომითი წარმატებების წელიწადად.

ლენინური შრომის ვახტზე დგას ჩვენი საწარმოს მთელი კოლექტივი, მთელი ჩვენი საამქრო და თვითეული ჩვენთაგანი.

შარშანდელი წლის საწარმოო გეგმა მე შვიდი ნოემბრისთვის შევასრულე. ახლა ვალდებულებას ვკისრულობ მიმდინარე წლის გეგმაც კვლავ შვიდი ნოემბრისთვის — დიდი ოქტომბრის რევოლუციის 52 წლისთავისთვის შევასრულო, ხოლო 1970 წლის პირველი ოთხი თვის გეგმა კი — 22 აპრილისთვის.

**ლეილა ჩიბლიანი,**

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი.



სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



## ჩემი ხუთწლედი

ჩვენი ხალხი ლენინურ შრომითს ვახტზე დგას, იგი მილიონობით ადამიანის ძალასა და ენერგიას წარმართავს ერთი მიზნისაკენ — წარმატებით შევასრულოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

ჩემი ხუთწლედი მე უკვე დამთავრებული მაქვს. შარშან აპრილიდან ვმუშაობ მომავალი ხუთწლედის ანგარიშზე.

დღეს, სოციალისტური შრომის გმირების ი. ხაზარაძისა და შ. ფირცხალავას მოწოდებათა საპასუხოდ მეც დამკვრელად ვაცხადებ ჩვენი დიადი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილემდე დარჩენილ წელიწადს და ვკისრულობ ვალდებულებას მომავალი წლის 22 აპრილისთვის შევასრულო მომავალი ხუთწლედის გეგმა.

**ზურაბ გველუკაშვილი,**
კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატი.

## წელიწადი — აპრილამდე



დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილემდე სულ რაღაც ათიოდე თვეღა დარჩა. მთელი ჩვენი ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღფრთოვანებული ემზადება ისტორიული დღის — 1970 წლის 22 აპრილის შესახვედრად.

ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი კომბინატის კოლექტივიც ძალ-ღონეს არ იზოგავს, რათა შრომითი გამარჯვებებით აღნიშნოს ეს დიადი თარიღი.

შვიდ წელზე მეტია, რაც მე ამ საწარმოში ვმუშაობ; დღემდე ჩემს საწარმოო გეგმას ყოველთვის 105-106 პროცენტით ვასრულებდი. მაგრამ ამჟამად მსურს შევუერთდე ჩემს კოლეგებს და მეც მათსავით დამკვრელურად გამოვაცხადო ვ. ი. ლენინის იუბილემდე დარჩენილი წელიწადი.

განზრახული მაქვს მომავალი წლის აპრილისთვის მოვასწრო და გადაჭარბებით შევასრულო მთელი წლის გეგმა, მივაღწიო იმას, რომ ჩემს მიერ შექმნილი პროდუქცია მუდამ მაღალხარისხოვანი იყოს.

**ვენერა დიდბერიძე,**
მაუდ-კამვოლის კომბინატის მქსოველი.

**ბონდო კეშელავა**

## გაინავარდე, გულო ჩემო, გაინავარდე

გულო ნუ კრთები,
დახახარჯი დახარჯე ჯანი.
ნუ ზოგავ,
მაინც გაგეცლება
რაც უნდა ეფერო.
გამაგრდი...
წელთა სიმრავლეზე
იყარე ჯავრი,
გაინავარდე...
თაკარა მზე გერჩიოს ჩეროს.

გიწვევს...
გეძახის,
შენი ქვეყნის ყველა კუნჭული,
მიეხმატკბილე...
მოიკითხე კარით-კარამდე,
დაამდი მისი სურნელებით,
მზით გარუჯული,
ადამიანთა შორის,
გულო, გაინავარდე...

შიშს მეოცნებე ყმაწვილკაცის,
შიშს შთაგონების,
ხომ შეებრძოლე...
მჭმუნვარებას ჯანი გავარდეს,
ან მარტოობა,
ან წუხილი,
ან დაღონება,
აბა განსჭვრიტე
რას შეგვმატებს,
გაინავარდე...

გახწი...
დაგატკბობს
საოცნებო მშობელი მხარე,
არ მოგანატრებს
არც ყვავილებს,
არც იებს,
ვარდებს...

ნუ კრთი...
ნუ იხევ...
ამ ჭოჭმანის ჟამს გაიხარე,
გაინავარდე, გულო ჩემო,
გაინავარდე!

# საქართველო ლენინურ ვახტზე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც თავდადებით ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ, სახახელო წარმატებას მიაღწიეს. ხუთწლედის მესამე წელს მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლის, ყურძნის, ჩაის ფოთლის, ხილის, ციტრუსის, შაქრის ჭარხლის, დაფნის, კარტოფილის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამარჯვებული გამოვიდა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მას 1968 წელს სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიანიჭეს.

ეს სახახელო წარმატება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მუყაითი და თავდადებული შრომის შედეგად მოიპოვეს. გასულ სამეურნეო წელს მათ სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 210.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ფაქტიურად კი მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 216.261 ტონა. ასევე დიდი გადაჭარბებით შესრულდა სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმებიც. სახელმწიფოს მიეყიდა 70.000 ტონა მარცვლეულის ნაცვლად — 94.615 ტონა მარცვლეული, 240.000 ტონა ყურძნის ნაცვლად — 279.052 ტონა ყურძენი; კურკოვანი ხილი — 48.194 ტონა, ნაცვლად 46.000 ტონისა; თესლოვანი ხილი — 102,962 ტონა, ნაცვლად 72.000 ტონისა; 63,929 ტონა ხორცი, ნაცვლად 52.000 ტონისა; რძე — 161.255 ტონა, ნაცვლად 150.000 ტონისა, 118.630.000 ცალი კვერცხი, ნაცვლად 115.000.000 ცალისა; 5.844 ტონა მატყლი — ნაცვლად 5.300 ტონისა.

ცნობამ იმის შესახებ, რომ საქართველომ გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, დიდი სიხარული და ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა შორის.

ჩვენი სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს, წელს, დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის იუბილესათვის გაცხოველებული მზადების დღეებში, კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლონ და ახალი შრომითი საჩუქარი მიუძღვნან ბელადის ხსოვნას. მათ გადაწყვეტილი აქვთ 1969 წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 215.000 ტონა ჩაი, 300.000 ტონა ყურძენი, 90.000 ტონა მარცვლეული, 140.000 ტონა ხილი, 130.000 ტონა შაქრის ჭარხალი, 130.000 ტონა ბოსტნეული, 30.000 ტონა ციტრუსები, 60.000 კარტოფილი, 60.000 ტონა ხორცი.

ჩვენი კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები თავიანთ ახალ შრომით საჩუქრებს უმზადებენ ხალხთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს.

# მოძმეთა მიწაზე

ამას წინათ უკრაინაში ვიყავით, საბჭოთა კავშირის გმირის, ერედველი გიორგი ბერუაშვილის ნაომარ ადგილებსა და იმ სოფელს ვეცნობოდით, სადაც მას უკანასკნელი ბრძოლა გარდახდა და სადაც მამაცთა სიკვდილით დაეცა.

ბედმა უცნაური ხვედრი არგუნა გიორგის: ის დაიღუპა ისე, რომ არც იცოდა, თუ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ჰქონდა მინიჭებული. უფრო მეტიც, მისი ნამდვილი გვარი დაღუპვიდან მხოლოდ 22 წლის შემდეგ, 1966 წელს გაირკვა. მანამდე ბერდაშვილად იცნობდნენ. გაუგებრობა წარმოშვა დივიზიის შტაბიდან გმირობის წარდგინების ფურცელში დაშვებულმა კორექტურულმა შეცდომამ.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს დაჯილდოების განყოფილებიდან წინასწარ ვიცოდით, რომ გიორგი ივანეს ძე ბერდაშვილს (სინამდვილეში ბერუაშვილს) საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ქ. პერეიასლავის რაიონში, მდინარე დნეპრის ფორსირებისთვის მიენიჭა. დივიზიაში შედგენილ, გმირობაზე წარსადგენ ფურცელში ვკითხულობთ:

„გიორგი ივანეს ძე ბერდაშვილი შვიდი დღე-ღამის განმავლობაში უძილოდ და დაუსვენებლად მუშაობდა დამხმარე მასალებისაგან აგებულ ბორანზე. თავის საბრძოლო გათვლასთან ერთად, რომელშიც შედიოდა 6 კაცი, მან დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გადაიტანა 20 ქვემეხი, 35 ნაღმსატყორცნი, 3 საზენიტო ტყვიამფრქვევი, 900 ყუთი საბრძოლო მასალა; გადაიყვანა 1500 მებრძოლი მათი იარაღით, რომელთა რიცხვში იყო დაზგის ტყვიამფრქვევები და ასეულის ნაღმსატყორცნები. 25-26 სექტემბერს ღამით, როდესაც მოწინააღმდეგის არტილერიის ჭურვის მოხვედრის შედეგად დაზიანდა ბორანი, მან გაიხადა ტანსაცმელი და იმით ამოტენა ყუმბარით გახვრეტილი ბორნის ნავები. საცვლების ამარას არ მიუტოვებია ბორანი, თავისი გმირობით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს, დაღუპვას გადაარჩინა ძვირფასი ტვირთი".

პერეიასლავის რაიონში მზიანი ამინდი დაგვხვდა. მკაფიოდ მოჩანდა მდინარე დნეპრის დამრეცი ნაპირები. მარჯვენა ნაპირზე ალაგ-ალაგ კლდოვანი ფერდობებია. მდინარის სიგანე ნახევარ კილომეტრამდე იქნება. ოთხი საათის მგზავრობის შემდეგ მივადექით საოლქო ცენტრს, ქალაქ ჩერკასს, რომელიც 1943 წლის 14 დეკემბერს განთავისუფლებულ იქნა ჩვენი ჯარების მიერ. ამ ბრძოლაში გიორგი ბერუაშვილიც მონაწილეობდა. ჩერკასიდან ჩავედით ლისიანში. ამ რაიონში შედის სოფელი ბოსოვკა, სადაც გიორგი ბერუაშვილმა უკანასკნელი ბრძოლა გადაიხადა.

ბოსოვკა ლამაზი და მდიდარი სოფელია. სოფლის განაპირას, საძმო საფლავზე, სადაც გიორგი ბერუაშვილია დამარხული, 1222 მეომარი განისვენებს. მათგან მხოლოდ 289 კაცის ვინაობაა გარკვეული. საფლავზე დგას ჯარისკაცის ძეგლი. ლითონის ჩუქურთმიანი მესერის შიგნით ფერად-ფერადი ყვავილებია გახარებული. ამ საფლავს რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები უვლიან.

ბოსოვკელი მშრომელები დიდად სცემენ პატივს ჩვენს თანამემამულეს: სოფლის არც თუ ისე პატარა კულტურისა და დასვენების პარკი გიორგი ბერუაშვილის სახელს ატარებს. მისივე სახელობისაა ბოსოვკის 8-წლიანი სკოლის პიონერული ორგანიზაციის მეორე რაზმი და კულტურის სახლთან არსებული საბრძოლო დიდების კუთხე.

ბოსოვკელ პიონერებს კარგა ხანია რაც მიწერ-მოწერა აქვთ გმირის მშობლიური სოფლის ერედვის (ცხინვალის რაიონი) საშუალო სკოლის პიონერებთან.

ბოსოვკის სასოფლო საბჭოსა და იქაური კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას უკვე მიუცია დაკვეთა მემორიალურ დაფაზე, სადაც ოქროსფერი ასოებით ამოიკვეთება სიტყვები: „14 იანვარს, 1944 წელს სოფელ ბოსოვკაში მამაცთა სიკვდილით დაეცა საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი ივანეს ძე ბერუაშვილი". ამ დაფას საძმო საფლავზე დადგამენ.

დავემშვიდობეთ სტუმართმოყვარე მასპინძლებს და გეზი ყირიმისაკენ ავიღეთ. იალტაში გიორგი ბერუაშვილის უშუალო მეთაური მიხეილ ივანეს ძე მორდვინცევი გვეგულებოდა.

— გიორგი ბერუაშვილმა, — გვითხრა მან, — ყველაზე მეტად დნეპრის გადალახვისას ისახელა თავი. ჩვენმა ბიჭებმა სამი ძველი მიტოვებული ნავი აღმოაჩინეს, ერთმანეთზე გადავაბით, ზედ ფიცრები დავამაგრეთ და მშვენიერი ტივი გამოგვივიდა. ამ ტივით გადაჰქონდა გიორგის ძვირფასი საომარი მასალა და გადაჰყავდა ჯარისკაცები.

შემდეგ მორდვინცევმა გაიხსენა გიორგის მოსაზრებულობისა და მამაცობის დამადასტურებელი ცალკეული ეპიზოდები:

ბოსოვკასთან ტანკების წინააღმდეგ ბრძოლის დროს დაცემულა გიორგი. „ვაი, დედაო", ეს კი ამოუოხრია და მორდვინცევის მკლავებზე დაულევია სული. მაშინ იგი ოცდარვა წლის ჭაბუკი იყო.

ამ სამწუხარო ამბის თხრობისას ვხედავდით, ეს წარმოსდეგი კაცი როგორ ცახცახებდა მთელი სხეულით, როგორ ტიროდა ბავშვივით.

მორდვინცევისგანვე შევიტყვეთ, რომ გ. ბერუაშვილი სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში ჩვენი სახელოვანი პარტიის რიგებში შესულა. მანვე მოგვცა ცოცხლად გადარჩენილი იმ თანამებრძოლების მისამართები, რომლებიც გიორგი ბერუაშვილს იცნობდნენ. ჩვენ, საქართველოში დაბრუნებისთანავე, დავამყარეთ მათთან წერილობითი კავშირი, ვთხოვეთ, მოეთხროთ ყველაფერი, რაც იცოდნენ ამ მამაც ქართველ ჭაბუკზე. ზოგმა უკვე გამოგვიგზავნა პასუხი. ვიმედოვნებთ, რომ მიღებული წერილები უფრო ნათელ შუქს მოფენენ გიორგი ბერუაშვილის საგმირო საქმეებს.

**ეთერ ჩოგოგაძე,**
**ვახტანგ ცოტნიაშვილი.**
კიევი—ბოსოვკა—იალტა.

# ერთი ცნობა წარსულიდან

**მოსკოვის შუაგულში, იმ ადგილას, სადაც ახლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სასტუმრო „მოსკვას" შენობებია აღმართული და რომელსაც ძველად „ოხოტნი რიადს" ეძახდნენ, მე-18 საუკუნეში იდგა ქართველი ბატონიშვილების სასახლე. ამას გარდა, ქართველები ცხოვრობდნენ პრესნაზე, სადაც ახლა რუსთაველის ძეგლი დგას. ქართული კოლონია მოსკოვში დიდ კულტურულ მუშაობას ეწეოდა (ქართველ ემიგრანტთა რიცხვი მოსკოვში 8.000 კაცს აღწევდა).**

**ჩვენ აქ გვაინტერესებს ერთი დღემდე უცნობი ფაქტი: მე-18 საუკუნის სამოციან წლებში, „ოხოტნი რიადში", ქართველი ბატონიშვილების სასახლეში საგასტროლოდ ჩამოსულ ჰოლანდიელ იოზეფ ზარგერს მოუწყვია თოჯინების თეატრის წარმოდგენები და კერძოდ, მას აქვე უჩვენებია „კომედიები" — ხალხური „ფაუსტი" და „მამაცი და სახელოვანი ივდითი".**

**იოზეფ ზარგერი მოსკოვში იმყოფებოდა 1760 წლის თებერვლიდან. საინტერესოა ზარგერის განცხადება თუ აფიშა, დათარიღებული იმავე წლის 9 თებერვლით. მასში ვკითხულობთ:**

**„ჰოლანდიელი კუნშტმაისტერი იოზეფ ზარგერი, ქართველი ბატონიშვილის სასახლეში, რომელიც ოხოტნი რიადში მდებარეობს, წარმოადგენს ყველა თავის კუნშტს, ყოველდღე, ყველიერის მთელი კვირის განმავლობაში. ნაჩვენები იქნება „ციცერონის თავი", თოკზე ცეკვა და ბალანსირება, შემდეგ ნაჩვენები იქნება მხიარული კომედიები"** (იხ. «Легенда о докторе Фаусте». **ვ. ჟირმუნსკის რედაქციით, მოსკოვი, 1958 წ. გვ. 204, 548-549).**

**კუნშტი ჰოლანდიურ ანუ ნიდერლანდურ ენაზე ნიშნავს ფოკუსს (შეად. გერმანული „კუნსტ"— ხელოვნება, ოსტატობა, უნარი; კუნსტშტიუკ — ფოკუსი, ტრიუკი); როგორც ჩანს, ზარგერი ფოკუსების ოსტატიც იყო და თოჯინების სპექტაკლებსაც აწყობდა, კერძოდ, აქ ყველაზე მეტად საინტერესოა ხალხური „ფაუსტის" დადგმა.**

**იოზეფ ზარგერის აფიშაში ისიც არის აღნიშნული, რომ პიესას დოქტორ ფაუსტზე ის წარმოადგენს ორარშინიანი იტალიური თოჯინების მეშვეობით, რომლებიც ილაპარაკებენ; წარმოდგენა მაინც შედგება, თუნდაც მაყურებელთა რიცხვი 10 ან 12 კაცს არ აღემატებოდესო.**

**ცხადია, სპექტაკლების გასამართავად შემთხვევით არ აირჩევდნენ ქართველი ბატონიშვილების სასახლეს; გარდა ნაყოფიერი სამეცნიერო და ლიტერატურული შრომისა, აქ, უნდა ვიფიქროთ, ეწეოდნენ თეატრალურ მოღვაწეობასაც, ადგილს უთმობდნენ არა მარტო საგასტროლოდ ჩამოსულ უცხოელებს, არამედ თვითონაც დგამდნენ სპექტაკლებს.**

**დიმიტრი ჯანელიძეს თავის წიგნში „ქართული თეატრი" მოჰყავს მრავალი ცნობა სულხან-საბას, ვახუშტის, დავით გურამიშვილის, თეიმურაზ მეორის ნაწარმოებებიდან, სადაც იმ დროის თეატრალური სანახაობანია აღწერილი. კერძოდ, ნახსენებია თოჯინების (მარიონეტების) თეატრიც; იმავე მკვლევარის სიტყვით „კუკების თეატრი" უკვე VII საუკუნეში არსებულა საქართველოში. საინტერესო ცნობებია წარმოდგენილი ნინო ღოღობერიძის წიგნში „დედოფალების კატალოგი", სადაც ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ გადაიქცნენ დროთა ვითარებაში წარმართული რიტუალებისათვის განკუთვნილი თოჯინები სათამაშო და გასართობ საგნებად.**

**ამ კონტექსტში უთუოდ თავისი მნიშვნელობა ენიჭება ცნობას, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ და რომელიც დაკავშირებულია ქართველ ბატონიშვილთა მოსკოვური სასახლის ისტორიასთან.**

**ია სულხანიშვილი**

# მუხრანში მზე იცინის

მზე პირს იბანდა, მუხრანში რომ ჩავედით. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე ბედიანაშვილი ახლად აგებულ კანტორაში დაგვხვდა. მცხეთიდან პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ალექსანდრე ბარისაშვილი ჩამოსულიყო და სოფლის ავ-კარგზე მუსაიფობდნენ. რომ გაიგეს, საიდანაც ვიყავით, თავმჯდომარემ მაშინვე მინდორში გასვლა შემოგვთავაზა.

ჩავსხედით მანქანაში და წავედით.

მაგრამ მინდორში კი არა, ვაზის გამოსაყვან სანერგეში. ეს სანერგე კოლმეურნეობას წელიწადში ექვსას სამოცი ათას ნერგს აძლევს, რომლის ნაწილსაც მუხრანელები მეზობელ სოფლებსაც ურიგებენ. ვაზი აქ ხომ მეურნეობის თავი და თავი დარგია!

სანამ ადგილზე მივიდოდით, დრო ვიხელთეთ და ალექსანდრე ბედიანაშვილს გზაში რამდენიმე შეკითხვა მივეცით, პასუხებიც სიტყვა-სიტყვით ჩავიწერეთ.



ალექსანდრე ბედიანაშვილი.



ვაზის ნერგის დარგვა.

ფოტო თ. არჩვაძისა.

— ხალხო, ახალი წესდებაა!



— ჩვენ ვიცით, რომ თქვენი კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია. მოგყავთ ყურძენი, ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული, მისდევთ მეცხოველეობას. გვითხარით ერთი შარშან რა და რამდენი ჩააბარეთ სახელმწიფოს?

— რა და, ჩავაბარეთ ორას ცხრა ტონა ყურძენი, ასორმოცდაათ ტონაზე მეტი ხილი, რვაას ტონაზე მეტი ბოსტნეული, — თავმჯდომარე ამას ზეპირად გვეუბნება, სხვები კი თანხმობის ნიშნად თავებს აქნევენ.

— წელს, პატივცემულო ალექსანდრე?

— წელს, თუ ღმერთმა გადმოგვხედა, — იღიმება ალექსანდრე, — ჩავაბარებთ ოთხას ტონა ყურძენს, ას სამოც ტონა ხილს, ათას ტონა ბოსტნეულს. ასე რომ, თუ შარშან ჩვენი საერთო შემოსავალი ნახევარ მილიონ მანეთს აღწევდა, წელს ექვსას ათას მანეთსაც კი გადააჭარბებს.

— აბა, მაშ შეძლებულად გიცხოვრიათ.

— მაშ რა... რატომაც არ უნდა ვიცხოვროთ შეძლებულად. წინათ, აი, შრომადღეზე აქ 1,5-2 კილოგრამი მარცვალი ნაწილდებოდა. ფულად რომ ავიღეთ, სულ ოცი კაპიკიც არ გამოდიოდა. ახლა მარტო ვაზის მუნობით ჩვენი გლეხი დღეში საშუალოდ თოთხმეტ მანეთს გამოიმუშავებს.

საუბარმა შეგვიყოლია. სანერგეში რომ მივედით, ჩვენ უკვე თითქმის ყველაფერი ვიცოდით ამ კოლმეურნეობაზე, და არა მარტო ვიცოდით, ზოგი რამ გზადაგზა საკუთარი თვალითაც ვიხილეთ. ახლად აგებული ორსართულიანი კლუბ-კანტორა ხომ თავისთავად ვნახეთ და ვნახეთ, შარშან აშენებულ საუცხოო აბანოსაც ჩამოვუარეთ, სადაც ნომრებიც არის და საერთო განყოფილებაც, მერე ჩინებულად მოწყობილი პირუტყვის სადგომი ბინებიც დავათვალიერეთ და შინმოუსვლელთა ტყე-პარკსაც ვეწვიეთ, სადაც ახლად გაფურჩქნილი ხუთასი ხე სამამულო ომში დაცემული ხუთასი მუხრანელი ვაჟკაცის სახელს ატარებს.

ამის შემდეგ მივედით სანერგეში. კოლმეურნე ქალები და კაცები ვაზის დასარგავად ნერგს ამზადებდნენ. დანერგვას კოლმეურნეობის აგრონომი მზია თინიკაშვილი ხელმძღვანელობდა. მზია წამოხურულ ფარდულში შეგვიძღვა. შესვენების საათი იყო. ზოგი სახლიდან წამოღებულ პურ-ღვინოს მისჯდომოდა, თან მეზობლებსაც სთავაზობდა ლუკმის გატეხვას. ზოგს სამხარი უკვე მოეთავებინა, ზოგიც კვლავინდებურად განაგრძობდა ნერგის მუნობას და მათ კონებად შეკვრას. ცოტა ხნის შემდეგ ამოიილიავებენ ამ კონებს და შეეხვევიან ფარდულს უკან გაშლილ, საგულდაგულოდ დახნულსა და დაფარცხულ მინდორს. ჩარგავენ იქ ამ მტკაველა ჩხირებს, გააკეთებინებენ ერთი წლის მანძილზე ფესვებს და გადარგავენ მერე სავენახე ნაკვეთებზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხრანელები ეცნობიან საკოლმეურნეო წესდების ახალ პროექტს.

— ყოველ წელს ოც-ოცდაათ ჰექტარ ახალ ვენახს ვაშენებთ, — გვეუბნება თავმჯდომარე, — დღეისათვის სულ 200 ჰექტარზე მეტი ვენახი გვაქვს, საიდანაც 84 მსხმოიარეა. რომ შეხედო, ავ თვალს არ დაენახვება, ისეთია!

მეორე ალექსანდრე, რაიკომის მდივანი, სახელდახელოდ ანგარიშობს რაღაცას, ბოლოს ფარული სიამაყით გვამცნობს:

— სამი-ოთხი წლის შემდეგ მარტო მევენახეობიდან რვაას ათას მანეთს მიიღებენ, აბა! თქვენ მუხრანელებს ნუ ეხუმრებით!

მაგრამ თავი და თავი ამბავი მაინც მერე მოხდა; სანერგეს ფარდულიდან გამოვდიოდით. ის იყო მანქანაში უნდა ჩავმჯდარიყავით, რომ გზაზე ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა. აჩქარებული მოდიოდა და თან გაზეთს მოაფრიალებდა.

— ახალი წესდება მომაქვს, ხალხო, ახალი წესდება! — შორიდანვე მოგვაწვდინა მან ხმა.

დამხვდურები გარს შემოეხვივნენ და დიდის ამბით შეიყვანეს ფარდულში. გაგვაცნეს. ეს ქალიშვილი ნინო აპრესოვა გახლავთო, რიგითი კოლმეურნეა, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტია, გუშინ პარტიის წევრობის კანდიდატად მივიღეთო. საზრიანობა შეუქეს ნინოს, რომ ფოსტალიონს არ მოუცადა და პირდაპირ ფოსტიდან გამოაქანა გაზეთი. გაზეთში ახალი საკოლმეურნეო წესდების პროექტი იყო დაბეჭდილი.

ყველამ ერთბაშად მოიყარა თავი, მზია თინიკაშვილმა კითხვა დაიწყო. კარგა ხანს კითხულობდა. რომ დაამთავრა, კოლმეურნეები ისევ ახმაურდნენ. ახალი წესდების პროექტი ყველას მოეწონა.

— ყველაზე ძალიან რა მიხარია, იცით? — გვითხრა კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა სერგო ვარძიგულოვმა, — ეს წესდება ნამდვილად ჭკუაზე მოიყვანს ზარმაცებსა და უქნარებს. კარგია, რომ გამგეობასა და კოლმეურნეთა საერთო კრებას უფლება ეძლევა თავისი შეხედულებისამებრ, ამა თუ იმ კაცსა თუ ქალს, მისი დამსახურების მიხედვით მიუმატოს ან შეუმციროს საკარმიდამო ნაკვეთი. არ გაუხარდებათ ეს ამბავი სოფლის მცონარებს!

— თან ისიც გაიხსენეთ, — ჩაურთო თავმჯდომარემ, — რომ მატერიალური დაინტერესების მიზნით შემუშავებული დამატებითი გასამრჯელოები, რაც აქამდე რეკომენდაციების საფუძველზე კეთდებოდა, ახლა უკვე დასრულებული კანონის სახეს იღებს; რაკი იცის, რომ შრომას ასეთი ფასი ადევს, კაცი ახლა რა საქმესაც გინდა შეეჭიდება.

და ალექსანდრე კვლავ ზეპირად გვაცნობს ამ მატერიალური სტიმულირების მთელ სიკეთეს, რაზეც ყველაზე უკეთ ციფრები ლაპარაკობენ. თვითონ იანგარიშეთ, რა გულისყურით მიუდგება კაცი საქმეს, როცა იცის, რომ მის მიერ დარგული ახალი ვენახის 90 პროცენტის გახარების შემთხვევაში თვითეულ ძირ გახარებულ ვაზზე დამატებით კიდევ სამი კაპიკი ეძლევა, რომ გეგმის ზევით მოწველილი რძის ოცი პროცენტი (100 ლიტრიდან 20 ლიტრი) მისი საკუთარი ხდება, ამასთან, შეუძლია ამ რძის ნაცვლად ფული მიიღოს. ამ მატერიალური დაინტერესების შედეგია, რომ მუხრანში ახლა ჰექტარზე 20-25 ცენტნერის ნაცვლად 48-50 ცენტნერ ყურძენს იღებენ. ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მთავარი მაინც ის არის, რომ ყველაფერი ეს კანონის სახეს იღებს. სასიხარულოა ისიც, რომ წახალისების სხვა ღონისძიებებთან ერთად გათვალისწინებულია ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის „საპატიო კოლმეურნის“ ან „დამსახურებული კოლმეურნის“ წოდების მინიჭება. მუხრანში ბევრს მიენიჭება ეს წოდება.

— ამაზე ჩვენ უფრო დაწვრილებით ვიმსჯელებთ, როცა ყველა ერთად შევიკრიბებით, — გვითხრა წამოსვლისას ალექსანდრე ბედიანაშვილმა.

მანქანაში საუბარი ისევ იმ წესდების პროექტს ეხებოდა. ალექსანდრე ბარისაშვილმა, რაიკომის მდივანმა, ველარ მოითმინა და იმანაც გაგვიზიარა თავისი აზრი.

— ბევრი რამ ახალი და კარგია პროექტში, — გვითხრა მან, — მაგრამ მის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად ის მიმაჩნია, რომ მოქმედ წესდებასთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს კოლმეურნეობის შემოსავლის განაწილების წესში. იგი ახლა უზრუნველყოფს პირველ რიგში საწარმოო დანახარჯების დაფარვას, მათ შორის შრომის ანაზღაურებას, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა დროულად შესრულებას, საზოგადოებრივი ფონდების შექმნასა და შევსებას, კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას პროდუქციის წარმოების გადიდებითა და მისი ღირებულების შემცირებით. შრომის გარანტირებული ანაზღაურება, რომელიც უკანასკნელ წლებში დაწესდა ყველა სასოფლო-სამეურნეო არტელში, საშუალებას გვაძლევს სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო ანაზღაურების ეგრეთწოდებულ ნაშთობრივ პრინციპს, რაც აღბეჭდილი იყო ძველ წესდებაში. მართლაც კარგია, რომ ახლა შრომის ანაზღაურების ფონდის შექმნა მიჩნეულია პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმედ.

მანქანა გზაზე რომ გამოვიდა, სარკმლიდან დავინახეთ, კოლმეურნეებს მხრებზე ბარები და თოხები გაედოთ, სანერგე ლერწის კონები ამოეღლიავებინათ და მინდვრის გაყოლებით ბილიკზე გამწკრივებულები ხელების ქნევითა და ლაპარაკით მიაბიჯებდნენ.

წვიმამ საბოლოოდ გადაიღო და მზემ კვლავ ხალისიანი ღიმილით დახედა მუხრანის აყვავებულ ბაღ-ვენახებს.

ქ. ამირანაშვილი.

# ედელვეისი

## მოთხრობა

პროექტი ვერაფრით ვერ გამოვხაზე. ფანქარი მაგიდაზე მივაგდე. პალტო ავიღე, კარები გავიჯახუნე და კიბეებზე დავეშვი. გურამთან მივედი, ვიფიქრე, დამეხმარება-მეთქი, სახლში არ დამიხვდა, მეწყინა. ქუჩაში გამოვედი, უაზროდ დავიწყე ხეტიალი. ვაკვირდებოდი, როგორ ირეოდა ხალხი, მანქანები, ავტობუსები, როგორ სუნთქავდა ქალაქი. ციოდა... დავიღალე... არ მინდოდა შინ დაბრუნება. ოჯახში არავინ იყო და მე კი ვინმესთან მინდოდა საუბარი, მყუდროდ თბილ ოთახში. გადასასვლელთან ლაშას მოვკარი თვალი, დავუძახე, მოტრიალდა.

— გამარჯობა, სად მიდიხარ? — ვკითხე ისე სწრაფად, თითქოს მეშინოდა არ დაესწრო ეს კითხვა ჩემთვის.

— ნიკასთან. საქმე მაქვს, შენ?

მხრები ავიჩეჩე, თვითონაც არ ვიცოდი.

— თუ გინდა წამოდი, მალე გავთავისუფლდები, მერე რამე მოვიფიქროთ, — შემომთავაზა ლაშამ. გამეხარდა, მარტო სიარული მეზარებოდა.

ნიკას შორიდან ვიცნობდი, ერთი სკოლა დავამთავრეთ. ოთახში ისეთი მყუდროება იყო, ცოტა ხნის წინ რომ ვინატრე. ოჯახში არავინ იყო ნიკას გარდა. ლაშა და ნიკა რაღაცაზე საუბრობდნენ. მე ოთახის დათვალიერებას შევუდექი. კედლებზე ნახატები ეკიდა, ეტყობოდა, ოჯახში ვიღაც ხელოვნებით იყო დაინტერესებული. წიგნების თაროსთან, პატარა, შავ ჩარჩოში, შავ ფონზე თეთრი ყვავილი იდო. ახლოს მივედი, თითქოს მეცნობოდა ეს ყვავილი. თითქოს...

— ეს ედელვეისია, მარინეს ერთმა ალპინისტმა ჩამოუტანა ალპებიდან, შემდეგ დაიღუპა. მარინეს ძალიან უყვარს ედელვეისი, — მითხრა ნიკამ.

სავარძელზე დავეშვი. მარინეს ძალიან უყვარს ედელვეისი, მე ეს კარგად ვიცი, მე ეს ვიცოდი უფრო ადრე, ვიდრე ნიკამ. ალპინისტი... დაიღუპა... კარგად მოუგონებია მარინეს.

თითქოს სული შემეხუთა, პერანგის საყელო შევიხსენი... მარინე ჩვეულებრივი იყო. სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა, როცა საპროექტოში მუშაობა დაიწყო. თვითონაც არ ვიცი, რატომ მივაქციე ყურადღება. დამებადა სურვილი გამეცნო, ერთხელ ქუჩაში გავაჩერე და ვუთხარი, რომ ჩვენ, როგორც კოლეგები, აუცილებლად უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს. მერე კინოში წასვლა ვთხოვე, გაწითლდა, ჯერ უარზე იყო, ბოლოს დამეთანხმა. გვიან ღამემდე დავდიოდით ქუჩებში და ვსაუბრობდით ყველაფერზე, განათებულ ფანჯრებში ვიღაცეების ცხოვრება ერთწუთიანი კადრივით იცვლებოდა. გავიგე, რომ მარინეს ყველაზე მეტად პოეზია და ყვავილები უყვარს, რომ მისი საყვარელი ყვავილი ედელვეისია.

მარინე ინსტიტუტში ჩაირიცხა და მერე აღარ მუშაობდა. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. მე ვუყვებოდი მას ჩემს ახალ პროექტებზე. ვუზიარებდი ჩემს ყველაზე დიდ სიხარულსა და მწუხარებას, იმასაც, რასაც სხვას ვერ ვეტყოდი. ის ხმამაღლა კითხულობდა ლექსებს, უამრავი ლექსები იცოდა მარინემ და მე შემეძლო მისთვის მესმინა საათობით. მერე პროექტებით ვიყავი გატაცებული და ცოტა დრო მრჩებოდა მისთვის. თანდათან უფრო იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს და აღარ ვიყავი ისე თბილი, როგორც ადრე.

ერთხელ, ველოდე და არ მოვიდა, მერე ქუჩაში შემხვდა შემთხვევით და გავიგე, რომ თხოვდება.

— გიყვარს? — ვკითხე და თვალებში ჩავხედე. პირველად შევნიშნე მისი თვალების ფერი. მუქი ყავისფერი თვალები ჰქონია მარინეს. თავი დახარა და თითქოს შორიდან მომესმა:

— ჩვენ მეგობრები დავრჩებით, არა?

გამეცინა.

— რა გაცინებს?! — გაიოცა.

— უცნაურია, ვინც მომწონდა, ვისაც ვხვდებოდი, ყველა უცებ თხოვდება, თუმცა რეკომენდაციას არავის ვუწევ, გამონაკლისს არც შენ წარმოადგენ, მარინე!

არაფერი მიპასუხა, დაბნეული უყურებდა [illegible], მერე რაღაცა თქვა, გამომემშვიდობა და წავიდა. აღარც მე მითქვამს რაიმე, არ დამიბრუნებია, არ მითქვამს, რომ მიყვარს, რომ უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია. არც იყო საჭირო.

მარინეს აღარ ვხვდებოდი და თითქოს რაღაც სიცარიელე ვიგრძენი, ხშირად ვფიქრობდი მასზე. მინდოდა მენახა, მინდოდა შემევსო ეს სიცარიელე.

ქუჩაში მივდიოდი, ჩემს ახალ პროექტზე ვფიქრობდი, ვიგრძენი, ვიღაც შეჩერდა, ავიხედე, ჩემს წინ მარინე იდგა. გაფითრებული იყო. ვიგრძენი, რომ მეც გადამედო მისგან მღელვარება, ვიდექი და ხმის ამოღება მიჭირდა, როგორღაც შეცვლილიყო, უფრო გალამაზებულიყო. ეგებ მე ვერ ვამჩნევდი ადრე, ალბათ, კაბის ფერი უხდება, რაღაცა უნდა ვთქვა, არ შეიძლება ასე, ვფიქრობდი და ჯიბიდან პასპორტი ამოვიღე. შიგ ედელვეისი იდო, გამხმარი, პატარა თეთრი ყვავილი, და მარინეს გავუწოდე.

— ედელვეისი?! — წამოიძახა მან და თვალები გაუბრწყინდა. — ედელვეისი... საიდან?!

მე ვუყურებდი ბავშვივით აღტაცებულს და მიხაროდა, არა, არ მეგონა, თუ ასე გავახარებდი.

— ედელვეისი შენთვის ვიშოვნე, მარინე, შენ ხომ გიყვარს ის.

— გმადლობთ! — ასეთი მადლობა არასოდეს არავისგან არ მსმენია. დიდხანს მიყურებდა. თითქოს ჩემი სახის დამახსოვრებას ცდილობდა. თითქოს კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს, დამემშვიდობა და წავიდა.

ადგილიდან არ დავძრულვარ. ვუყურებდი მარინეს და ვიგრძენი, რომ არ მინდოდა მისი წასვლა, მინდოდა ხელი მომეკიდა მისთვის და გვევლო ქუჩებში, ისევ წაეკითხა ლექსები, მინდოდა მეთქვა, რომ ძალიან, ძალიან გამიხარდა მისი ნახვა, მინდოდა მოვფერებოდი, ჩემი ყოფილიყო მარინე და უნებლიეთ დავუძახე:

— მარინე!

შეჩერდა და მოიხედა. მივუახლოვდი. მხრებზე ხელი მოვკიდე.

— რა იყო? — ყრუდ იკითხა მან, თრთოდა, ვიგრძენი, არ შემეძლო გამეკეთებინა ის, რასაც ვფიქრობდი, ვიგრძენი, ყველაფერი გვიან იყო და დამნაშავესავით გავუღიმე.

— არაფერი.

მარინეს იშვიათად ვხვდებოდი. ერთხელ მარჯვენა ხელზე ოქროს რგოლი შევნიშნე. ვხედავდი ამხანაგებთან, ან მარტო. არასოდეს მინახავს მეუღლესთან ერთად. შეხვედრის დროს ცივად ვესალმებოდით ერთმანეთს. მე ნაკლებად ვფიქრობდი მასზე. დავდიოდი სამსახურში, ვხაზავდი პროექტებს და ვხვდებოდი სხვებს. მათ არ იცოდნენ ლექსები, არ ვუზიარებდი ჩემს სიხარულსა და მწუხარებას და მაინც ვხვდებოდი, თითქოს ცხოვრება მეორდებოდა და მარინეც ჩემს ცხოვრებაში გმირის განმეორებული როლი იყო სხვა მსახიობის შესრულებით.

ახლა მე მის ოჯახში ვიყავი, მარინე სახლში არ იყო და ედელვეისი...

— მე წავალ — ვთქვი და წამოვდექი.

— წახვალ? სად?! მოიცადე, ერთად წავიდეთ, მეც ახლავე... — მითხრა ლაშამ.

— მოითმინეთ. ოჯახი მაინც დამილოცეთ, მარინეც ახლავე მოვა და... — მოიბოდიშა ნიკამ.

— არა, უნდა წავიდე, სადგურზე ვარ გასასვლელი, დროა, მერე გნახავ, — ვუთხარი ლაშას და საათს დავხედე.

ქუჩაში გამოვედი და თავისუფლად ამოვისუნთქე. მშრალი ყინვა იყო. პალტო გახსნილი მქონდა. სუსხი ვიგრძენი და მეამა. ახლა მარტო მინდოდა მევლო. ერთ ქუჩაზე შევჩერდი. „ჰო, ამ ქუჩაზე დავდიოდით ყველაზე ხშირად", — გავიფიქრე და გზა განვაგრძე. ნელა მივდიოდი, საკუთარი ნაბიჯების ხმას ვუსმენდი და მერე თითქოს სადღაც, შორს, ვიღაცა ლექსებს კითხულობდა.

თვალწინ, გაფითრებულ სახესთან ერთად, ედელვეისი მედგა, ყინვებს რომ უძლებს.

მეია სიმონიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჩიან ლეჟავა

# ეს ჩემი გაჩერებაა

მოთხრობა

სამსახური დავიწყე. პირველი დღეა სამუშაოდ გავდივარ. ოპერის პირდაპირ, ტროლეიბუსის გაჩერებასთან ვდგავარ.

ცხრას თხუთმეტი წუთი აკლია. № 4 ტროლეიბუსით უნდა ვიმგზავრო. საბურთალოზე ვარ გასასვლელი.

გაჩერებასთან უამრავი ხალხია. ნაცნობიც რომ ეძებო, პოვნა გაგიჭირდება.

და ამ უამრავ ხალხში ერთი ქალიშვილი შევნიშნე. პირველი დანახვისთანავე მომეწონა და მომეწონა ისე, რომ თვალი ველარ მოვაშორე. მომეწონა ერთბაშად და მოულოდნელად.

ყმაწვილმა ქალმა იგრძნო დაჟინებული, ოდნავ თავშეუკავებელი მზერა და შეწუხდა, შეიშმუშნა.

გავუშვით ტროლეიბუსი № 8. გავუშვით № 3-ც.

რომ შევატყვე ქალიშვილი შეწუხდა-მეთქი, განზე დავიწყე ცქერა, ისე, ტყუილად.

ყმაწვილი ქალი, ალბათ ის-ის იყო დამშვიდდა, რომ ველარ მოვითმინე და ისევ გავხედე.

ჩამომდგარ ტროლეიბუსს ხალხი მიესია. ჩქარობენ, სამსახურში დაგვიანებას ერიდებიან.

ვცდილობ, ქალიშვილი არ დავკარგო ამ არეულობაში.

შესასვლელ კარში ერთმანეთს ჩაგვახუტეს. თავს ვიკავებ. უხერხულობას ვგრძნობ, რომ ყმაწვილ ქალს გასაქანი აღარ აქვს. თვალის დახამხამებაზე ისევ დაგვაშორიშორეს.

ბილეთი ავიღეთ. ქალიშვილი არ ჩქარობს. მე კი მორიდებით მივიწევ წინ.

— ჩაბრძანდებით?

— არა.

სპორტის სასახლესთან ჩამოვედი. სამსახურისაკენ გულდაწყვეტილი გავუდექი გზას.

ყოველ დილით ვხვდებით ერთმანეთს. გაჩერებასთან თითქმის ერთსა და იმავე დროს მოვდივართ. ალბათ, მასაც ცხრაზე ეწყება სამსახური. № 4 ტროლეიბუსით ვმგზავრობთ. ვინ იტყვის, რომ არაფერი გვაქვს საერთო. უკვე რამდენი ხანია გრძელდება ასე და ვინ იცის კიდევ სადამდე გასტანს.

მერე რა ვუყოთ, რომ სხვადასხვა სახლებიდან გამოვდივართ და გაჩერებასთან სხვადასხვა ქუჩებით მოვდივართ, ანდა, მე რომ სპორტის სასახლესთან ჩამოვდივარ, ხოლო ყმაწვილი ქალი გზას განაგრძობს.

უკვე კარგად ვიცნობთ ერთმანეთს. ახლა უკვე ღიმილი გვეკიდება შეხვედრისას, მაგრამ რატომღაც ჯიუტად ვდუმვართ. ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მაინც თავი ისე გვიჭირავს, თითქოს მოულოდნელს არაფერს ველოდეთ.

რა ვუყოთ მერე, რომ გაჩერებასთან ვხვდებით. ეს ხომ განგებ არ არის მოწყობილი, და გარდა ამისა, რამდენი მოდის აქ ასეთივე აუცილებლობით, ყველასთან ხომ არ გააბამ ნაცნობობას.

დილაა. ოპერის პირდაპირ ტროლეიბუსის გაჩერებასთან ვდგავარ. ცხრას თხუთმეტი წუთი აკლია. ეს ჩემი და იმ ქალიშვილის დროა. ამ დროს ვხვდებით ერთმანეთს. ვხვდებით ყოველ დილით, სულ რამდენიმე წუთით, დღეში ერთხელ. ვხვდებით ყოველ დილით და არაფერს ვეუბნებით ერთმანეთს. ერთია მხოლოდ, რომ ახლა, როცა ვუყურებ, და ვუყურებ, ალბათ, ისევე, როგორც იმ პირველ დღეს ვუყურებდი, აღარ წუხს, აღარ გრძნობს უხერხულობას, პირიქით, ასე მგონია, კიდეც უხარია.

და ეს ნებართვაა მისგან, რომ ვუმზირო.

ცხრას ათი წუთი აკლია. იგვიანებს. უკვე ორჯერ გავუშვი № 4 ტროლეიბუსი, არ ჩავჯექი. ველოდები, ვიცი, უნდა მოვიდეს. ეს ხომ მარტო ტროლეიბუსის გაჩერება არ არის ჩვენთვის. ეს ხომ პაემანია, მართალია, დაუნიშნავი, მაგრამ ხომ მაინც პაემანია.

ცხრას ხუთი წუთი აკლია. კიდევ გავუშვი № 4 ტროლეიბუსი. მერე № 6, № 10, № 8, № 2. ხალხი შეთხელდა. გაიკრიფა თითქმის ყველა, გავუშვი კიდევ ერთი ტროლეიბუსი.

ცხრა საათია. გაჩერებასთან მარტო ვდგავარ.

არ მოვიდა, ნამდვილად არ მოვიდა.

ადრე რომ მოსულიყო, უჩემოდ მაინც არ წავიდოდა. ამაში დარწმუნებული ვარ. არა, ნამდვილად არ მოვიდა.

სამსახურში დავიგვიანე.

ცხრის ნახევარია. დღეს ნახევარი საათით ადრე მოვედი, ნახევარი საათით ადრე იმიტომ კი არ მოვედი, რომ შეიძლება გუშინ ადრე მოსულიყო და არ დამლოდებოდა. ხისულელეა ამაზე ფიქრი, დღეს ნახევარი საათით ადრე იმიტომ მოვედი, რომ უბრალოდ, სახლში ველარ გავჩერდი. და კიდევაც მიკვირს, როგორ მოხდა, რომ სახლიდან კიდევ უფრო ადრე არ გამოვვარდი.

ბრუნავს საათის ისარი და გადის დრო. დრო ყოველთვის ასე გადის. ვერცააჩქარებ, ვერც შეანელებ.

ვდგავარ და ველი.

ვდგავარ და ველი ქალიშვილს, რომლისთვისაც პაემანი არ დამინიშნავს. არც ვიცი, რატომ ველი.

ამდენს უკვე ველარ ვერკვევი, არც მინდა, ვერკვეოდე.

მინდა ვიდგე და ველოდე.

ამიტომაც ვდგავარ და ველი.

დრო ამოიწურა. ცხრა საათია. ახლა უკვე აღარ მოვა. რაღას ვუდგავარ!

დღეს მესამე დღეა ქალიშვილი არ გამოსულა გაჩერებასთან.

ვხვდები, რომ რაღაც მოხდა, ან ავად არის, ან კიდევ რაღაც, რა ვიცი.., ღმერთმა დაიფაროს...

რამდენი ადამიანი იკარგება ასე, რომელსაც მხოლოდ შორიდან იცნობ. მართალია, არ ესალმები, მაგრამ ყოველდღე ხვდები. ერთხელაც აღარ შეხვდი და არად ჩააგდე, რადგან, შეიძლება, უბრალოდ, აცდი. მეორე დღესაც აღარ შეხვდი, მესამე დღესაც, გავიდა მთელი კვირა, გავიდა თვეც და ბოლოს დაიკარგა. არც საერთო ნაცნობი გყავს, რომ ჰკითხო, ან კი რას ჰკითხავ, რა იცი, ვინ იკითხო!

ტროლეიბუსის გაჩერება იმ კარგი წარსულის მოსაგონარ წმინდა ადგილად იქცა ჩემთვის.

ინტერესი და ხალისი დაეკარგა ყველაფერს. მაშინ ყოველ დილით ვიპარსავდი პირს. გარეგნობას დიდ ყურადღებას ვაქცევდი.

ახლა სულ სხვა გავხდი. სულ გამოვიცვალე. მეგობრები ყოველივე ამას ამჩნევენ და არ მიმალავენ, პირში მეუბნებიან. სახლშიც უკვე მიზეზიანი და ნერვიული ვარ, ადგილს ველარ ვპოულობ, გული არსად მიდგება.

დღეს, გაჩერებასთან, ვილაც გოგო იმ ქალიშვილად წარმოვიდგინე, გავუღიმე და მივუახლოვდი, მაგრამ. უცნობი რომ გაშტერდა, ოცნებიდან შეგვიანებით გამორკვეული, უმალ შევტრიალდი, სახეალეწილი სულ სხვა ნომერ ტროლეიბუსში ჩავჯექი და სულ სხვა უბანში ამოვყავი თავი.

გავიდა თვე. ღმერთია მოწამე, ის ქალიშვილი არ დამვიწყებია. ახლა, როცა გაჩერებასთან ვდგავარ, მაინც იმ ქალიშვილზე ვფიქრობ. მართალია, ხალხში თვალებით აღარ ვეძებ, აღარ ვეძებ იმიტომ, რომ აღარ ველი. თუმცა უნდა გამოვტყდე...

რა ვქნა, მასზე ფიქრი თან დამყვება. მაინც მგონია შევხვდები სადმე. ამ შეხვედრაზე ფიქრს მივეჩვიე.

და დღეს, როცა თვეზე მეტია არ შევხვედრივარ, ამ ჩვეულებრივ დღეს, სხვა დღეებისაგან არაფრით განსხვავებულს, როცა ცხრას თხუთმეტი წუთი უკლია, ისევ ოპერის პირდაპირ, ტროლეიბუსის გაჩერებასთან ვხედავ, ვხედავ და ვშიშობ, ისევ ხომ არ მეჩვენება.

დგას და ილიმება ისევ ის ქალიშვილი, ისევ იმ კაბაში, ისევ იმ თმავარცხნილობით, ისევ იმ ხელჩანთით.

მიყურებს და მიღიმის. ალბათ, უკვირს ასე გაშტერებული რომ ვდგავარ.

დავრწმუნდი, ის არის. გამიხარდა. გული შემიქანდა.

ვგრძნობ გული მასაც შეუტოკდა, ესიამოვნა ჩემი დანახვა.

ვხედავ, როგორ ფართოდ ელიმება, ჩემსკენ წამოვიდა.

— სად იყავი, რომ არ ჩანდი აქამდე?

— რუსეთში.

— კიდევ კარგი, მეგონა, ავად იყავი, მეგონა...



# ასე ულოცავდნენ...

### ი. გრიშაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავის გამო

გამოჩენილი ქართველი პოეტი და მკვლევარი იოსებ გრიშაშვილი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დიდად დაახლოებული იყო ქართული თეატრის რეჟისორებთან და მსახიობებთან. თეატრმა, ისევე როგორც პოეზიამ, იგი ჭაბუკობიდანვე გაიტაცა. ჯერ ისევ ყმაწვილი, ხარფუხში, ხან კერძო სახლებში, ხან ღია ცის ქვეშ აწყობდა წარმოდგენებს. 1908 წელს კი ვალერიან გუნიამ იგი დასში მოკარნახედ მიიღო. ამ გარემოებამ დიდი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში. თვითონ პოეტი წერდა:

„გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ მსახიობთა წრეში ყოფნამ აღმზრდელობითი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. არც ერთ წიგნს არ შეეძლო ჩემთვის იმდენი სულიერი საზრდო მოეცა, რაც მომცა იმ მოგზაურობამ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში რომ იმართებოდა მესხის, მესხიშვილის და გუნიას ინიციატივით“. ვალერიან გუნიამ ი. გრიშაშვილი არა მარტო თეატრს დააახლოვა, თვითონ პოეტი აღნიშნავდა — „ჩემი პირველი მეკვლე პოეზიაშიც ვალერიან გუნია იყოო“.

ი. გრიშაშვილის სახელი ახლობელი და საყვარელი იყო ყველა ქართველი მსახიობისათვის. 1944 წელს, როცა პოეტს ჩვენმა ხალხმა დაბადებიდან 55 წლის იუბილე გადაუხადა, გამოჩენილმა ქართველმა მსახიობმა ელისაბედ ჩერქეზიშვილმა პოეტს ასეთი წერილი გაუგზავნა (იბეჭდება პირველად):

„ჩემო სოსო!

ხვალ შენი ზეიმია, და მთელი ქართველი ერი აღფრთოვანებით და სიხარულით ეგებება შენს ბრწყინვალე დღესასწაულს. იყავი მხნედ, ნერვები დაიმშვიდე. ხვალ გემრიელად ისადილე. ერთი ჭიქა წითელი კახურიც გადაჰკარი, ცოტა მოისვენე და წამოსვლის დროს ილარიონის კაპლიც გადაჰკარი. ნერვებდამშვიდებული მოქევქევდი, შენებურად, ნელი ნაბიჯით, შენის გონიერი საიშვიათო ჭკუით, შორსმჭვრეტელი თვალებით გადახედე შენს მოტრფიალე, შენის ნიჭით მოხიბლულს საზოგადოებას. ნუ იღელვებ, დამშვიდებით შეხვდი ამ საიშვიათო ზეიმს. ჩემო სოსო! როცა მეც მქონდა იუბილე, ღელვისაგან ხან გამაცია, ხან გამაცხელა, მაგრამ ჩემებრ ჩვეული კაცი გული გამხნევდა. დადგა ჟამი სცენაზე გამოსვლისა, წინასწარ ერთი ჭიქა კონიაკი გადავყლურჭე და გაველი სცენაზე. გადავხედე საზოგადოებას, ვიფიქრე, ეს ხომ ზღვაა, კამკამა, წმინდა, ფირუზოვანი-მეთქი. მიმოვიხედე გარშემო, პატარ-პატარა გორაკები, ნაძვ-დაფნით, ყვავილებით შებურული მოსჩანდა, ძალდატანებით დავაკვირდი მრავალფეროვან, აჭრელებულ, მოალერსე, მოჭიკჭიკე პატივცემულ საზოგადოებას, ესენი ყველანი ჩემს მიმართ ჭიკჭიკობდნენ, მაგრამ მე ნერვები დავიმორჩილე და გადავწყვიტე არ ავყვე ჩემს აფორიაქებულ ნერვებს, რადგანაც იმედი მქონდა, კიდევ მოვესწრებოდი ჩემს იუბილეს. ჩემმა მხნეობამ მომაღწია ამ სანეტარო დროსაც. შენი იმედი მაქვს ჩემებრ ენერგიას მოიკრებ და სამოცი წლის იუბილესაც გადაგიხდის ჩვენი კეთილი ხალხი. შენი საიშვიათო მარგალიტის მსგავსი ლექსებით მრავალჯერ დაატკბობ შენს ნიჭის თაყვანისმცემელ გულწრფელ მკითხველებს. იყავი მხნედ და ჯანმრთელად. იცოცხლე ას წელს და იხარე ჩვენს თანამგრძნობ მთავრობის აუწერელ მზრუნველობის ქვეშ. მტერზე ჩვენი უდიდესი გამარჯვების გამო სიხარულით აღსავსე, გილოცავ შენს გამარჯვებასაც, გადაგეხვევი და დაგიკოცნი ნიჭით სავსე შუბლს.

შენი ნიჭის თაყვანისმცემელი და
მეგობარი ლ ი ზ ა“.

ეს დიდად საინტერესო ადამიანური დოკუმენტია, აღსავსე ელისაბედ ჩერქეზიშვილისათვის დამახასიათებელი თბილი იუმორით და სულიერი სიფაქიზით. ძნელად თუ წააწყდებით, ასე ნათლად იყოს გამოხატული, თუ რას განიცდის ღვაწლმოსილი ადამიანი, როცა მას მთელი ხალხი მადლობას უხდის სამშობლოსადმი კეთილი სამსახურისათვის. ეს იშვიათი განცდა ზუსტად და მკაფიოდ გამოუხატავს ელ. ჩერქეზიშვილს ზემოთ მოყვანილ წერილში. თავისთავად ეს წერილი საინტერესოა შემოქმედებითი ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც. ვინ მოთვლის რამდენჯერ გამოსულა ხალხის წინაშე ეს გამოცდილი და შესანიშნავი მსახიობი, თავის თავზე რომ ამბობს, კაცის გული მაქვსო, და დახეთ, მაინც როგორ ღელავს, თითქოს პირველად გამოდიოდეს ხალხის წინაშე!

იოსებ გრიშაშვილი ასეთივე სათუთი მეგობრული გრძნობით იყო დაკავშირებული ჩვენი დროის დიდ მსახიობ უშანგი ჩხეიძესთან. 1944 წელს, უკვე ავადმყოფმა უშანგიმ პოეტს საიუბილეო თარიღის შესრულება ლექსით მიულოცა:

როგორ მხიბლავდა ბრწყინვალე ნიჭთან,
პოეტო, შენი, წმინდა სინდისი,
რომ ისე მტკიცედ გიყვარდა მუდამ
საქართველო და ძველი თბილისი.

და შენც, ვით მამას, გამოეთხოვე
ირაკლისეულ ხარფუხს და ისანს,
მოხველ ამ დროსთან, განახლებული
უმღერ ეპოქის უდიდეს მიზანს.

ჩვენი თაობა წავა, გადავა,
ეს საუკუნეც გადაიქუხებს,
შენი ლექსები ოქროს ზარნიშად
ისევ ექნება თბილისის ქუჩებს.

დღესაც ვერ განხავ, ისევ გიგონებ:
წვერგაუპარსავს, წიგნებით ხელში,
ახლაც ხომ, ალბათ, ცვივა გამზირზე
ნარინჯისფერი ფოთლები მზეში.

ქართული თეატრის მატიანეს ი. გრიშაშვილმა მუდამ დაუვიწყარი ფურცლები მიუმატა; თავის ნარკვევებში მან უკვდავყო ჩვენი თეატრის ისტორიის მრავალი ღირსშესანიშნავი ეპიზოდი და ქართული სცენის დიდოსტატებიც მუდამ სიყვარულით წარმოთქვამდნენ ამ შესანიშნავი პოეტისა და მოქალაქის სახელს.

ალექსანდრე სიგუა

---

— სწუხდი?

— ძალიან.

— რა კარგია...

— რა?

ტროლეიბუსი ჩამოდგა. ჩავსხედით. ორი ბილეთი ავიღე. ახლაც ჰქდვაა, მაგრამ ველარ დაგვაშორიშორეს.

— რუსეთში რისთვის იყავი?

— მივლინებით, ახალი მეთოდის გასაცნობად.

ჩემი გაჩერება გავიარე. უაღრესად ბედნიერად ვგრძნობ თავს. ველარ ველევი. ველარ ვტოვებ. ველარ ვცილდები. ფაბრიკის კარამდე მივყევი.

ქალიშვილს ამხანაგებმა ჩამოუარეს და თან გაიყოლიეს. მხოლოდ ახლა გამოვერკვიე. ერთბაშად შემოვბრუნდი და გამოვიქეცი.

„სახელი რომ არ მიკითხავს? — მომაგონდა გზაში და შევჩერდი, — თუმცა სახელი რა შუაშია!“ — და ახლა უფრო გახელებით გავიქეცი.

პარასკევია. ცხრას თხუთმეტი წუთი უკლია.

დაუნიშნავ პაემანზე ვდგავარ.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ შევხვდებით და ისიც ვიცით, სად და როდის შევხვდებით.

— გუშინ ხომ არ დაგაგვიანდა?

— არა. იმ ხანებში მაგვიანდებოდა, შენ რომ რუსეთში იყავი. სულ გელოდი. მეგონა, მოხვიდოდი. მერე მივხვდი...

ტროლეიბუსი № 4 ჩამოდგა. ქალიშვილს ორივე მკლავი მოვხვიე, შემოვარკალე, რომ არ შეეწუხებინათ. მოხერხებულად ავიყვანე ვაგონში.

ამჯერადაც გავიარე ჩემი გაჩერება.

— ხვალ შაბათია, ზეგ კვირა.

— ჰო, ორ დღეს ვისვენებთ.

— სახლში რამე საქმე ხომ არა გაქვს?

— სახლში საქმეს რა გამოლევს?!

— იქნებ მოიცალო?

— იქნებ.

— მაშინ... მაშინ...

— სად მოვიდე?

— ხვალ თორმეტი საათისათვის გრიბოედოვის ძეგლთან მოდი. მეგობარი ქალიშვილი წამოიყვანე თან, ყველაზე უფრო ახლობელი და საყვარელი.

ყმაწვილი ქალი გაშრა. ერთბაშად ვერაფერი გაიგო. წარბები შეკრა. ახლოს მოვიდა ჩემთან, სულ ახლოს და თვალებში გამჭოლად ჩამხედა. წუთი ასე ვდგავართ.

მიმიხვდა. მღელვარება რომ დაეფარა, მყის შებრუნდა და ფაბრიკისაკენ დაუმშვიდობებლად გაექანა.

ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა დაშორება ყველა ჩვენს შეხვედრას სჯობდა. აქ იყო შვებაც, სიხარულიც, ბედნიერებაც.

როცა ყმაწვილი ქალი ფაბრიკის აყვავებულ ეზოში ხეების სიხშირეს მიეფარა, დინჯად შემოვბრუნდი და მტკიცე ნაბიჯით გამოვწიე.

„ჩვენებს როგორ გაუხარდებათ!“ — გამიელვა თავში.



ვახტანგ ონიანი ქანდაკებაზე მუშაობის დროს.
(ქანდაკება დაიდგა ბიჭვინთაში)

ფოტო ე გეგელაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა





ერთაწმინდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიას პორტრეტი.

ქეთო მალალაშვილი.

ძველი თბილისი.



ძველი თბილისი.

გია ჭავრიშვილის
პორტრეტი.



სოსო ყიფიანის
პორტრეტი.









ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოტომოყვარულის რვა წელია



გია დადვაძე მეორე კლასის მოსწავლეა და, ცხადია, თავისი მომავალი ცხოვრების გზა ჯერ არ აურჩევია. მაგრამ უკვე გატაცებული ფოტომოყვარულია. ამ გატაცებას საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზი აქვს: ერთხელ გიას მამამისმა, ცნობილმა ფოტოჟურნალისტმა ბონდო დადვაძემ სურათი გადაუღო. გიას პორტრეტმა ჯერ ვერცხლის მედალი დაიმსახურა თბილისში მოწყობილ გამოფენაზე, მერე „იზვესტიამ“ ეს ფოტო ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად სცნო და ავტორი ფოტოაპარატ „ფედ-2“-ით დააჯილდოვა. ალბათ, გეხსომებათ ეს ფოტო — პატარა ბიჭუნა, ცალი თვალი ონავრულად რომ მოუჭუტავს. იგი ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მრავალ ჟურნალ-გაზეთში დაიბეჭდა.

მამამ ჯილდოდ მიღებული ფოტოაპარატი შვილს აჩუქა — შენზე უპრიანიაო; გიამ ფოტოგრაფიის შესწავლა დაიწყო და მალე გაიწაფა ხელი. ფოტოჟურნალისტი რვა წლისაა, მაგრამ უკვე იცის, რა უნდა გადაიღოს აგერ ბიჭუნა ფეხს იდგამს, რა უნდა იყოს ამაზე საინტერესო! ბებიები გაზეთებს ისე ჩაღრმავებიან, ყველაფერი დავიწყებიათ ამ ქვეყანაზე! წვიმამ დეიდებს გზაში მოუსწრო, მაგრამ ისეთი საინტერესო საუბარი აქვთ, ცა რომ დაბლა ჩამოვიდეს, აინუნში არ ჩააგდებენ!

ერთი სიტყვით, გიას უკვე აქვს მახვილი ფოტო თვალი

აქვე ვაქვეყნებთ ნორჩი ფოტომოყვარულის რამდენიმე ნამუშევარს



# ჯანმრთელობის სადარაჯოზე



ოდითგანვე ასე იყო: მწყემსებად მუდამ მამაც ადამიანებს შეარჩევდნენ ხოლმე. ეს გასაგებიც არის: ვინ მოსთვლის რამდენი განსაცდელი მოელის ფარას. მწყემსმა უნდა დაიცვას იგი ავდარშიც, უნდა დაიცვას ნადირისგანაც, ის მუდამ ფხიზლად უნდა იყოს თავის სადარაჯოზე.

მაგრამ არის შემთხვევა, რომ დიდად გამოცდილ მწყემსსაც ისე გაუჭირდება, რომ ვერაფერს გააწყობს, თუ მას ლაბორატორიის მუშაკები არ მიეშველნენ.

ვეტერინარული ლაბორატორია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ის „სასწრაფო დახმარებაა", ურომლისოდაც მწყემსს მუშაობა არ შეუძლია. არსებობს ერთი ასეთი ლაბორატორია სიღნაღშიც.

გაზაფხული იყო. ცხვრის ფარები მიხვეულ-მოხვეული გზებით მიემართებოდნენ საზაფხულო იალაღებისაკენ. ხანგრძლივ და ძნელ გადასვლებს შეჩვეული პირუტყვი აუჩქარებლად მიჰყვებოდა ტრასას. მყეფრები ხან ერთი მხრიდან შემოურბენდნენ ფარებს, ხან მეორედან, ფხიზლობდნენ, ცხვარს ზიანი არ მოსვლოდა — რომელიმე მათგანი ფარას არ ჩამორჩენოდა და ნადირს არ გაეტაცნა.

უკვე სამი დღე იყო გასული, რაც ფარები საზამთრო საძოვრებიდან აიყარნენ. ყველაფერი რიგზე იყო — არც ფარებს ეტყობოდათ დაღლა და არც მწყემსებს. მაგრამ უცბად, მეოთხე დღეს ბრიგადირის ფხიზელ თვალს არ გამოეპარა ის ამბავი, რომ ფარაში თითო-ოროლა ცხვარი კოჭლობდა, დააკვირდა, შეატყო, უხასიათოდ იყვნენ, ბალახს პირს აღარ აკარებდნენ...

მეხუთე დილას იმ კოჭლებიდან სამი ცხვარი ვეღარ წამოდგა.

მალე ეს ამბავი სიღნაღის სარაიონთაშორისო ვეტერინარულ ლაბორატორიაში შეიტყვეს. ტრასიდან საგანგაშო ნიშნის მიღებისთანავე ვეტერინარები უმალ იქით გაემგზავრნენ; ლაბორატორიის დირექტორმა ანა პაპიაშვილმა და მისმა თანამშრომლებმა სასწრაფოდ და შეუცდომლად დაადგინეს, რა იყო მიზეზი და უმალვე მიიღეს საჭირო ზომები დაავადების გავრცელების ასაცილებლად აღსაკვეთად. ტრასაზე ცხვრის გადარეკვა დაუყოვნებლივ შეაჩერეს. ჯანსაღი ცხვრები ცალკე გამოყვეს, დაიწყეს მკურნალობა. ვეტერინარული სპეციალისტებისაგან სახელდახელოდ შედგენილი ოთხი რაზმი რამდენიმე დღის განმავლობაში შეუსვენებლივ მუშაობდა; იმ დღეებში ანა პაპიაშვილს და მის თანამშრომლებს — ნათელა ნანობაშვილს, მარიამ რაქვიაშვილს და დონარა რამაზოვას წუთით მოცლა არა ჰქონდათ. მოკლე ხანში მათ შეძლეს დაავადების კერის მოსპობა და ცხვრის ფარის გადარჩენა. ალვანელთა ცხვრის ფარები კვლავ დაიძრნენ საზაფხულო იალაღებისაკენ.

ვინ მოთვლის რამდენი ამაგი დასდო ჩვენს მეცხოველეობას სიღნაღის ლაბორატორიამ. ანა პაპიაშვილის დიაგნოზი მუდამ ზუსტია და უტყუარი, მისი დახმარებაც მუდამ დროულია.

სიღნაღის სარაიონთაშორისო ლაბორატორიის მუშაკები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების ხშირი სტუმრები არიან. ისინი რეგულარულად ატარებენ მწველავებთან და მწყემსებთან საუბრებსა და ლექციებს ცხოველთა დაავადებებთან ბრძოლის აქტუალურ საკითხებზე, აცნობენ მათ ვეტერინარული მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლოეს მიღწევებს, უნერგავენ იმის შეგნებას, რომ პირუტყვის დაავადებათა თავიდან აცილება უფრო ადვილია, ვიდრე მკურნალობა.

დიახ, ვეტერინარები კაბინეტში როდი არიან ჩაკეტილნი. ხშირად ყოველგვარი გამოძახების გარეშე მიდიან ადგილებზე და ამოწმებენ ფერმების სანიტარულ მდგომარეობას, პირუტყვის კვებისა და შენახვის პირობებს. ასე მოხდა მაშინაც, როცა ვეტერინარული ლაბორატორიის მუშაკები ლაგოდეხის რაიონის სოფელ ფონის გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობაში მივიდნენ. მათ ადგილზე გულდასმით შეამოწმეს მეცხოველეობის ფერმების მდგომარეობა. ცუდად იყო საქმე, მეღორეობის ფერმაში პირუტყვი დაჯანდაგებული და დაავადებული აღმოჩნდა, არც სარძეო-სასაქონლო ფერმაში იყო უკეთესი მდგომარეობა. ვეტერინარები დაეხმარნენ კოლმეურნეებს, მათი რჩევით ფერმებში შემოიღეს უხეში საკვების დაქუცმაცება, მოაწესრიგეს საკვების ხარჯვის აღრიცხვა, პირუტყვის სადგომებში მოაწყეს ვენტილაცია და დაამყარეს სანიმუშო სანიტარული წესრიგი.

ანა პაპიაშვილმა ცხოვრების დიდი და სახელოვანი გზა განვლო. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იგი თექვსმეტ წელს მუშაობდა ვეტფერშლად. 1950 წლიდან კი, როცა წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი, იგი სიღნაღის სარაიონთაშორისო ვეტლაბორატორიის უცვლელი დირექტორია. ვინ მოთვლის რამდენი ახალგაზრდა ვეტერინარი გამოუწრთვნია და დაუვაჟკაცებია პრაქტიკულ მუშაობაში ამ ამაგდარ სპეციალისტს! ამიტომაა, რომ რესპუბლიკის დამსახურებული ვეტექიმი სოფლის მშრომელთა საერთო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

ერემია მახათაძე

ფოტო თ. არჩვაძისა.

ანა პაპიაშვილი



ლაბორატორიაში.





ლექცია დაიწყო.

# მკურნალობა ჰიპნოზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთვრამეტე საუკუნის 80-იანი წლები... ვენა. დუნაის სანაპიროზე დგას მდიდრულად მოწყობილი სახლი, რომელიც ფრანც ანტონ მესმერს ეკუთვნის. ამ სახლში ყოველ კვირას იმართება კონცერტები, სადაც თავიანთ ნაწარმოებებს ასრულებენ ჰაიდნი, მოცარტი, შემდგომში — ბეთჰოვენიც... სად, რომელ კონცერტზე შეიძლება წააწყდეთ ერთად თავმოყრილ ამდენ გენიოსებს! მათს შინაურ კონცერტებზე დასწრება ყველასათვის სანატრელი და საოცნებო იყო.

მაგრამ მარტო ამით როდი უკვდავყო თავისი სახელი ფრანც ანტონ მესმერმა; როცა ადამიანი თანამედროვე ფსიქოთერაპიის ისტორიულ სათავეებს გადახედავს, იგი პირველ რიგში მის სახელს წააწყდება. ავსტრიელმა ექიმმა ფრანც მესმერმა (1734-1815) პირველმა მიაგნო ამ საიდუმლოს და სცადა ჰიპნოზი ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში დაეყენებინა, მაგრამ თავისი დროის მეცნიერების დონემ არ მისცა მას შესაძლებლობა ყველაფერი ნათლად გაერკვია და ამიტომ ბევრი რამ მის მოძღვრებაში მისტიკური და ანტიმეცნიერული იყო.

და მაინც, მის პრაქტიკაში იყო ჯანსაღი რაციონალური მარცვალი, რომელმაც სტიმული მისცა მომდევნო თაობის მეცნიერებს უფრო დაკვირვებით შეესწავლათ ჰიპნოზის საიდუმლოება.

მესმერის საექიმო პრაქტიკიდან ჩვენ მხოლოდ ერთ ამბავს გავიხსენებთ. მესმერთან მიიყვანეს ავადმყოფი ქალიშვილი მარია-ტერეზა, რომელიც ოთხი წლის ასაკში დაბრმავებულიყო; გოგონა უჩვეულო მუსიკალური ნიჭით იყო დაჯილდოებული, და მან ავსტრიის იმპერატორის სასახლეშიც მიიქცია ყურადღება. იმპერატრიცა თვითონ ზრუნავდა მასზე, ხოლო მის მშობლებს პენსიად ორასი ოქროს დუკატი დაუნიშნა. გასაგებია, რომ ყველა დაინტერესებული იყო რაიმე ეშველათ მარია-ტერეზასათვის, მას მკურნალობდნენ თვალის ყველაზე გამოჩენილი ექიმები, მათ შორის პროფესორი ბარტი და იმპერატორის კარის ექიმი შტარკი. მაგრამ ექიმებმა ვერაფერი უშველეს მარია-ტერეზას, თუმცა ის კი ნათელყვეს, რომ სიბრმავის მიზეზი მხედველობითი ნერვის დაზიანება კი არ იყო, არამედ მას ფსიქიკური საფუძველი ჰქონდა.

მესმერმა თავის სახლში წაიყვანა ქალიშვილი და დაიწყო მკურნალობა თავისი მეთოდით. მან მიმართა ჰიპნოზით მკურნალობას და მალე საკმაო წარმატებებსაც მიაღწია. მარია-ტერეზა უკვე ხედავდა.

მაგრამ მესმერს აუარებელი მტრები ჰყავდა ოფიციალურად აღიარებულ ექიმთა წრეში. ისინი ათასგვარ ხრიკებს მიმართავდნენ, რათა ხელი შეეშალათ მესმერისათვის. ბოლოს, რათა გზა გადაეღობათ მისთვის, შეუჩნდნენ ქალიშვილის მშობლებს და ჩააგონეს — თუ თქვენს შვილს თვალები აეხილა, იმპერატრიცა თავის წყალობას მოგაკლებთ, პენსიას გააუქმებს და ამდენ ფულს დაჰკარგავთო. შეშფოთებული მშობლები მიუცვივდნენ მესმერს, მაგრამ ქალიშვილმა შინ წასვლა აღარ მოისურვა; მაშინ განრისხებული დედა, იქვე, კლინიკაში მივარდა ქალიშვილს და დაუწყო ცემა. მარია-ტერეზა დაეცა იატაკზე და ნერვიული კრუნჩხვა დაეწყო. ამ დიდმა ფსიქიკურმა ტრავმამ ის შედეგი მოიტანა, რომ ქალიშვილს ჩაუქრა თვალში სინათლე. მესმერმა ყველაფერი თავიდან დაიწყო, მაგრამ მკურნალობის დამთავრება არ დააცალეს, საქმეში ჩაერია ვენის არქიეპისკოპოსი კარდინალი მიგაცი, რომელიც მესმერის მტრებმა დაარწმუნეს, თითქოს ქალიშვილი პაციენტი კი არა, მესმერის საყვარელი იყო. ქალიშვილი მშობლებმა შინ წაიყვანეს, ხოლო მესმერი ვენის ხელისუფლებმა აიძულეს დაეტოვებინა ავსტრია და წასულიყო ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ პარიზში.

მესმერი მიხვედრილი იყო ჰიპნოზის საიდუმლოებას, და ნაწილობრივ მისი გამოყენებაც შეეძლო, მაგრამ მას არ ჰქონდა ნათელი და მეცნიერულად დასაბუთებული აზრი ამ საგანზე; და საერთოდ, მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე ჰიპნოზზე წარმოდგენა დაფუძნებული იყო განსაკუთრებული „ფლუიდების" სპირიტუალისტურ ცრურწმენაზე, ანდა განსაკუთრებული დენის მაგნიტურ ტალღებზე, რომლებსაც თითქოსდა ჰიპნოზიტორი გამოასხივებდა. მისტიკური წარმოდგენა ჰიპნოზზე დამსხვრეული იქნა მომდევნო თაობების მეცნიერთა მიერ. დაიწყო ჰიპნოზის პრობლემების მეცნიერული დამუშავება, დადგენილ იქნა ჰიპნოზის თერაპიული მნიშვნელობაც.

საბჭოთა მეცნიერებმა კლინიკაში ცხოველებზე ცდებით და ადამიანებზე დაკვირვებებით მოგვცეს ჰიპნოზური მოვლენების მეცნიერულ-მატერიალისტური ახსნა-განმარტება, რომელმაც თავისი გამოყენება პოვა ფსიქოთერაპიაში. ამიერიდან ჰიპნოზი ჩაყენებულ იქნა ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში.

* * *

თბილისში მცხოვრებ ოცდათი წლის გაუთხოვარ ქალს — ა. ბ.-ს თავზარი დაეცა, როცა გაიგო, რომ მისი გაზრდილი ერთადერთი ძმა ნუგზარი ტიფით იყო ავად. ნუგზარი მალე საავადმყოფოში გადაიყვანეს. მზრუნველმა დამ ყველაფერს თავი მიანება, თვითონაც საავადმყოფოში გადასახლდა და გვერდიდან აღარ მოშორებია ძმას.

გავიდა რამდენიმე კვირა. ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან უფრო გაუარესდა. თორმეტიოდე წლის ბიჭუნას გადასარჩენად ექიმებმა ყოველგვარი ზომები იხმარეს, მაგრამ მათი შეუპოვარი ბრძოლა და დის თავდადება ამაო გამოდგა. ნუგზარი გარდაიცვალა.

მოსიყვარულე დის უცნაური საქციელი პირველად ძმის დასაფლავების დღეს შეამჩნიეს. ნუგზარის დაკრძალვის შემდეგ, როცა ჭირისუფლები სასაფლაოდან შინ მობრუნდნენ, ა. ბ. თავის საწოლ ოთახში ჩაიკეტა, ძაძები გაიხა-

ევტიხი გობრონიძე და ავლიპ ზურაბაშვილი.



და და ისე მორთულ-მოკაზმული გამოვიდა ხალხში, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

ქალი აშკარად რაღაც საეჭვოდ იქცეოდა. უჩვეულოდ გახალისებული იყო, უდარდელად საუბრობდა ოთახში შეკრებილ ახლობლებთან, გულიანად იცინოდა, ხუმრობდა, სუფრის გაშლაში ეხმარებოდა მეზობლებს, თან გაოცებას ვერ მალავდა, რომ ყველანი ასე მოწყენილები იყვნენ და რაღაც შეშფოთებული თვალებით შესცქეროდნენ მას.

ცნობილმა ფსიქიატრმა პროფესორმა ევტიხი გობრონიძემ, რომელსაც ა. ბ. სამკურნალოდ მიუყვანეს, გულდასმით გასინჯა პაციენტი. გამოცდილი სპეციალისტი მალე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ახლობლების მიერ სულიერ ავადმყოფად მიჩნეული ახალგაზრდა ქალი არსებითად ჯანმრთელი ადამიანი იყო. საყვარელი ძმისა და მისი გარდაცვალების სამწუხარო ამბის სრულიად დავიწყების გარდა, არაფერი არ ამჟღავნებდა ნორმალური მდგომარეობიდან გადახრის რაიმე საეჭვო ნიშნებს. ახალგაზრდა ქალი სავსებით გონივრულად მსჯელობდა ყველაფერზე, პროფესორის მიერ დასმულ კითხვებზე სწორ და ამომწურავ პასუხებს იძლეოდა. მშვიდად, გასაოცარი სიზუსტით იხსენებდა დიდი ხნის წინათ მომხდარ უმნიშვნელო ამბებსაც კი, ხოლო მაშინ, როცა სიტყვა ნუგზარს ანდა მასთან დაკავშირებულ რაიმე ამბავს შეეხებოდა, ქალი ჩერდებოდა, შუბლზე ისვამდა ხელს, დიდხანს ფიქრობდა და ვერასგზით ვერ იხსენებდა, თუ სად იმყოფება ამჟამად მისი ძმა.

ახალგაზრდა ქალის ასეთი საქციელი ადამიანის მეხსიერებიდან უსიამოვნო მოგონებების სრული გამოვარდნის იშვიათი შემთხვევა იყო. ძმის უდროოდ დაკარგვამ, როგორც ჩანდა, მძიმე სულიერი ტრავმა მიაყენა მას. სასოწარკვეთილ ქალს თანდათან ჩამოუყალიბდა ისტერიული ნერვოზი, რომელმაც გონება დაუბინდა მას, გააბრუა და მეხსიერებიდან მთლიანად ამოუგდო ძმასთან დაკავშირებული ყველა უსიამოვნო განცდის მოგონება.

პროფესორი ერთი კვირა მკურნალობდა პაციენტს, ყოველ დილით ქალი მას ჰიპნოზურ მდგომარეობაში გადაჰყავდა, და შთაგონების მეოხებით, მის მეხსიერებაში თანდათანობით აღადგენდა ძმასთან დაკავშირებულ ყველა მივიწყებულ ამბავს.

ჰიპნოზის პირველი სეანსის დამთავრების შემდეგ ქალის გონებაში ნათლად აღდგა ნუგზარის ავად გახდომის და მასთან საავადმყოფოში გატარებული პირველი დღეების სურათები. მეშვიდე დღეს, როცა პროფესორმა ფსიქოთერაპიით მკურნალობა დაამთავრა, ახალგაზრდა ქალმა უკვე ყველაფერი გაიხსენა, გონზე მოსულმა თავში ხელები წაიშინა და ცხარე ცრემლით დაიტირა თავისი ძმა.

ამიერიდან ის სავსებით ნორმალური ადამიანი იყო.

* * *

ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრის გამგის, რესპუბლიკის მთავარი ფსიქიატრის პროფესორ ევტიხი გობრონიძის სამკურნალო პრაქტიკიდან. თავისი ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობის გზაზე პროფესორის მადლიანმა ხელმა მრავალ ადამიანს მიანიჭა სიხარული, მრავალ, თითქოსდა უკვე უიმედოდ მიჩნეულ და განწირულ ავადმყოფს დაუბრუნა ჯანმრთელობა და ისევ სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩააბა.

პროფესორი ევტიხი გობრონიძე თვალსაჩინო წარმომადგენელია მთელ საბჭოთა კავშირში სახელმოხვეჭილი იმ ქართული ფსიქიატრიული სკოლისა, რომელსაც სათავეში უდგას აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი. ევტიხი გობრონიძე დაუღალავად ეწევა ნაყოფიერ საექიმო, პედაგოგიურ, საზოგადოებრივ და სამეცნიერო მუშაობას.

როგორც ცნობილია, ჰიპნოზით ალკოჰოლიზმის მკურნალობის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა პაციენტში უარყოფითი პირობითი რეფლექსის გამოწვევა. ასეთი მეთოდით მკურნალობის არსი შემდეგია: ჰიპნოზირებულ პაციენტს ექიმი პირველ რიგში სასმელისადმი ზიზღსა და სიძულვილს აღუძრავს, შთააგონებს, რომ საკმარისია მან სასმელს პირი დააკაროს და მაშინვე გული აერევა. შთაგონება თავის საქმეს აკეთებს — ავადმყოფს პირობითი რეფლექსი უმუშავდება და მაგარი სასმელის პირთან მიკარებისთანავე მართლაც ეწყება გულისრევა.

მკურნალობის ამ ცნობილ მეთოდში პროფესორმა ევტიხი გობრონიძემ თავისი ახალი, მახვილგონივრული მოდიფიკაცია შეიტანა, რომელმაც დიდი მოწონება და ფართო გავრცელება პოვა მთელ ჩვენს ქვეყანაში.

ერთხელ, პროფესორ ევტიხი გობრონიძესთან ახალგაზრდა კაცი მივიდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს ახალგაზრდა გამოუსწორებელი ლოთი იყო



სამკურნალო კაბინეტში.

ფოტო ო. თურქიასი.

და მთელი გულით უნდოდა, რომ როგორმე ღვინის სმისათვის თავი დაენებებინა.

პროფესორმა პაციენტს გულდასმით დაუწყო მკურნალობა. მან ახალგაზრდა კაცი ჰიპნოზის მდგომარეობაში გადაიყვანა, შემდეგ შთაგონების მეთოდს მიმართა. ევტიხი გობრონიძემ აქ ახალ, ჯერ გამოუყენებელ ხერხს მიმართა — ღვინით სავსე ჭიქა ალკოჰოლისტს მხოლოდ იმის შემდეგ მიაწოდა, როცა იგი ჰიპნოზის გავლენიდან გამოვიდა.

მკურნალობის ასეთმა მეთოდმა დიდი ფსიქოლოგიური ეფექტი გამოიღო. პაციენტი თვითონვე გახდა მოწმე, თუ რა საშინელი რამ დაემართა მანამდე სასურველი ჭიქის დანახვისას — მას უმალ გულზიდვა დააწყებინა. ასეთი სეანსი რამდენჯერმე განმეორდა. ყოველთვის, როცა პაციენტი ჰიპნოზის მდგომარეობიდან გამოვიდოდა და ღვინით სავსე ჭიქას პირთან მიიტანდა, გულზიდვა ეწყებოდა და თავბედს იწყევლიდა. მას თანდათან გამოუმუშავდა მტკიცე უარყოფითი პირობითი რეფლექსი და ახალგაზრდა კაცმა, ბოლოს და ბოლოს, ლოთობას სამუდამოდ გაანება თავი.

პროფესორმა ევტიხი გობრონიძემ დიდი ამაგი დასდო საქართველოში შიზოფრენიის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სამკურნალო მეთოდის — ინსულინოთერაპიის დანერგვას. ევტიხი გობრონიძე პირველი იყო ქართველ სპეციალისტთა შორის, რომელმაც მანამდე უცნობი მეთოდი შემოიტანა, დაიცვა და დანერგა ჩვენში.

ასევე დიდი და ფასდაუდებელია პროფესორ ევტიხი გობრონიძის ღვაწლი პელაგრის, ჩიყვის და სამხარეო პათოლოგიის სხვა საკითხების შესწავლის სფეროში. პროფესორის შრომებს ამ დარგში დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ და ისინი საფუძვლად დაედვნენ რესპუბლიკაში ფსიქიატრიული დახმარების სწორ ორგანიზაციას.

პროფესორ ევტიხი გობრონიძის მოსაზრებებმა პელაგროზული ფსიქოზის შესახებ დიდი გამოხმაურება პოვა მთელ საბჭოთა კავშირში; მისი ნაშრომი „ნარკვევები პელაგრის შესახებ“ გამოაქვეყნა საბჭოთა სამედიცინო ენციკლოპედიამ. ეს შრომა დაიბეჭდა აგრეთვე ვ. გილიაროვსკის მიერ შედგენილ საკმაოდ ცნობილ ფსიქიატრიის სახელმძღვანელოში.

სამოცდახუთ წელს მიტანებული მეცნიერი კვლავ ჩვეული შემართებით და ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს მუშაობას თავის უაღრესად საპასუხისმგებლო უბანზე.

ოთარ ბარამიძე

გიორგი შატბერაშვილი

# ძლიერი თვალი

სანდრო შანშიაშვილს ძლიერი თვალი აქვს. ასეთ თვალზე იტყვიან, მტერს წააქცევსო.

ერეკლეს დროის კაცი რომ ყოფილიყო, კრწანისის ველზე მის თვალს მტერი ვერ გაუძლებდა.

ქართლელი ბერიკაცები ამბობენ. სააკაძე ხმით და ხმლით იბრძოდაო. ჯერ ყურებზე ხელს დაიფარებდა, მტერს მძლავრი ხმით დაჰკივლებდა, დააფრთხობდა და ხმალს მხოლოდ მაშინ მიადევნებდაო.

ხმისა და ხმლის მაგივრობას ერეკლეს მხედარს — სანდრო შანშეს — თვალი გაუწევდა.

მაგრამ მას ბედმა სხვა დროის კაცობა არგუნა.

მართალია, მისი თვალი კრწანისისაკენ იმზირება, მაგრამ ამ თვალს მხედრის ძალა მოჰკლებია, არც სააკაძის ხმით ბდღვინავს და არც მისა ხმალი ჰკიდია.

მისი მართალი, პოეტური თვალი შეუბრალებლად მუსრავს ჩვენი ქვეყნის მტერსა და მოღალატეს.

ასე იქცა მხედრის თვალი პოეტის თვალად. ეს თვალი დაიწმინდა, ქუფრი მოსცილდა, გაშუქდა. გამოხედვა მაინც ძლიერი და ამაყი აქვს.

ამიტომ არის მისი ლექსი თუ დრამა მზისა და მიწის, პურისა და ღვინის ეშხით ამღერებული.

ამიტომ ჩანს მის დიდრონ თვალებში ალაზნის უბადლო ველი, ცივგომბორის მთები, თვალუწვდენი ზვრები, რომელსაც ჩიბუხიანი მეზვრე დალიდინებს და კახეთის კაბაჰრელი დედოფალი ალამაზებს.

აგერ მახხარა, ჩუმი ვნებით და იდუმალი ხვაშიადით ათრთოლებული გონჯა, რომლის სტვირიც კახეთის შემოდგომის უცნაურ სევდას გამოსახავს.

ეს გონჯა სანდრო შანშიაშვილის შემოქმედების შესანიშნავი კოლორიტული სახეა, ის აცოცხლებს, ეშხსა და იერს მატებს ძველი საქართველოს ხევდიან სურათს.

შესანიშნავი ლექსი უძღვნა სანდრო შანშიაშვილს მეგობარმა პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა. სანდროს ბრიალა თვალები მან მიმინოს თვალებს შეადარა:

ხარ სათნოება თავაზიანი,
თვალები გიგავს ამაყ მიმინოს,
ძმაღ აირჩიე შენ ტიციანი
და ცისფერ ყანწით სვამ წითელ ღვინოს.

საქართველოს სატახტო ქალაქში, ქუჩების მტვერსა და აურზაურში მოხვედრილი ჭაბუკი სანდრო მუდამ მშობლიურ კუთხისკენ იმზირებოდა რადგან „კახეთმა მისცა თავის ბარაქა და ალაზანმა თავის ჯიგარი“.

მიდიხარ მედგრად, გაქვს მტრედის გული
და თუ მედიდურ ვარდებს ჰკონავდი,
შენი სიმღერა იყო ურმული.

ვალერიან გაფრინდაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, სანდროს ლექსებში მუდამ წკრიალებდა შეურყვნელი სოფლის ეშხი; ქალაქის ხმაურმა და კაფეებში ხეტიალმა ვერ უცვალა კილო ბუნებაში დაბადებულ სიმღერას.

სცხოვრობ ქალაქში და იხედები
მუდამ სოფლისკენ ცრემლმორეული.

მეგობრებისთვის ლერწამივით წყნარი, „პურმარილითა და ნიჟით ნაქები“ სანდრო, მტრისთვის ძლიერი მუხა იყო, მისი მაგარი სიტყვა კახეთის ნოყიერი მიწით იყო მოსვრილი...

იშვიათად უმღერია ერთ პოეტს მეორისთვის ასე გულწრფელად და პოეტურად.

* * *

ერთ ლექსში სანდრო შანშიაშვილი ამბობს:

„მეც, როგორც ვაჟას, ჰალარა მფარავსო“.

ღირსეულთათვის ჰალარა გვირგვინია. უღირსთათვის — მძიმე ალმართი და მწარე ხვედრი.

ღირსეულის ჰალარა ის ნათელი სხივია, რომელიც სიკვდილის შემდეგაც აშუქებს...

სანდროს ძლიერი, ვაჟკაცური თვალი დღეს სიხარულის ცრემლს ებრძვის.

24. X—1948 წ.

* წერილი რედაქციას გადმოსცა განსვენებული მწერლის მეუღლემ — ნათელა შატბერაშვილმა.

# «ელისოს» ფირმის მანქანები

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას წინათ დიდი აურზაური ატეხეს „ელისოს“ ფირმის მიერ გამოშვებული სასწაულმოქმედი მანქანების გამო, რომლებიც, როგორც მისი დამამზადებლები ირწმუნებოდნენ, თურმე ყოველგვარ ავადმყოფობას კურნავდა — დაწყებული გრიპიდან, დამთავრებული კიბოთი. უმოკლეს ხანში 5 ათასი ასეთი ჯადოსნური მანქანა გაიყიდა. — თვითეული 8.350 დოლარად. აღნიშნულ მანქანას რეკლამას უკეთებდნენ ამ საქმისათვის სპეციალურად დაქირავებული ადამიანები, რომლებიც თავს ასაღებდნენ ყოფილ პაციენტებად — ერთი ამბობდა კიბო მქონდა და ერთ კვირაში მომარჩინა ამ მანქანამო, მეორე — ვითომ გულის ავადმყოფობისაგან განიკურნა და ა. შ.

სურსათის და მედიკამენტების ადმინისტრაციამ რომელსაც ხელთ ჰქონდა უტყუარი საბუთები ამ გაიძვერათა საქმიანობის გამოსამჟღავნებლად, ვერ მოახერხა მანქანების წარმოების აკრძალვა. აღნიშნულ ადმინისტრაციას ამ შემთხვევაში საქმე ჰქონდა არა ტაბლეტებთან ანდა ამპულებთან, არამედ მანქანებთან, რომელთა გამოშვების საქმეს სხვა უწყება განაგებდა. მხოლოდ რამდენიმე თვის გაჭიანურებული სასამართლო პროცესის შემდეგ მოხერხდა ფირმა „ელისოსათვის“ აეკრძალათ გამოეშვა მანქანები მყვირალა სახელწოდებით „მიკროდინომეტრი“.

# «შენი ერთგული, შენი მსახური»

მოცულობით პატარა, მაგრამ მშვენიერი და შინაარსით მდიდარი წიგნი მიუძღვნა ვლადიმერ ზამბახიძემ დიდ ქართველ სამოციანელს, სახელოვან მწერალსა და მოაზროვნეს ნიკო ნიკოლაძეს მისი დაბადების 125 წლისთავზე. ვლ. ზამბახიძის „დიდი სამოციანელი“ ნათელ და მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს თავისუფალი აზროვნების იმ გამოფხიზლებასა და ამაღლებაზე, რომელიც თვითმპყრობელური რეაქციის საპირისპიროდ დაიწყო მთელ იმპერიაში და კერძოდ საქართველოშიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში.

ვლ. ზამბახიძის წიგნიდან ნიკოლაძე ჩვენს წინაშე წარმოსდგება როგორც გულმხურვალე პატრიოტი, დაუცხრომელი მებრძოლი თავისი სამშობლოს ნათელი მომავლისათვის. ავტორს წიგნის დასაწყისშივე მოჰყავს ნიკოლაძის გულწრფელი აღსარება, მიმართული საქართველოსადმი, რომელსაც ადამიანი აუღელვებლად ვერ წაიკითხავს:

„მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, ერთი წადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია. მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა. მე შენ მიყვარდი, რომლის ბედი და უბედობა, რომლის ავი და კარგი, ჩემი საკუთარი ავი და კარგი მეგონა. მე დამივლია მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყანაში, ბევრ ალმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის მზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა... სხვაგან და ჩვენში, მწერალი და გაჩუმებული, ნიადაგ შენი ერთგული და შენი მსახური ვიყავი“.

ვლ. ზამბახიძის წიგნში ნიკო ნიკოლაძე ნაჩვენებია არა მარტო ეროვნულ, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც, ნაჩვენებია როგორც მსოფლიო მასშტაბების მებრძოლი პუბლიცისტი; პარიზში ყოფნისას ნიკო ნიკოლაძე ეცნობა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელს — კარლ მარქსს; პარიზშივე ესტუმრა მას დიდი რუსი მოაზროვნე ალ. გერცენი, და სთხოვა „კოლოკოლში“ თანამშრომლობა; უკვე მანამდე ნიკოლაძე, როგორც თანამებრძოლი, მხარში ედგა ჩერნიშევსკის და რაზნოჩინელთა მთელ სახელოვან თაობას. ნიკოლაძის ყოველი გამოსვლა ქართული, რუსული თუ უცხოური პრესის ფურცლებზე გამსჭვალული იყო ეპოქის მოწინავე საბრძოლო იდეებით — ეს იყო ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლების იდეები.

წიგნის ავტორი მოგვითხრობს იმ გამოხმაურებაზე, რომელიც მოჰყვა ნიკოლაძის ფრანგულ ენაზე დაწერილ და პარიზში გამოქვეყნებულ წიგნს „დეკადანსის პრესა“. წიგნი გამოქვეყნებისთანავე გადაბეჭდა პოპულარულმა გაზეთმა „ლა ფრანსმა“. როგორც ილია ჭავჭავაძე, ისე ნიკოლაძეც ერთი პირველთაგანი მიესალმა პარიზის კომუნას, როგორც კაცობრიობის ახალი ისტორიის დასაწყისს, ხოლო პარიზის კომუნის ჩახშობის შემდეგ, თავის ზემოხსენებულ წიგნში ნიკოლაძე თავს დაესხა რეაქციულ ფრანგულ პრესას, რომელიც ზეიმით შეხვდა ბნელეთის ძალთა გამარჯვებას. „თქვენი წიგნი ერთი იმ ნაშრომთაგანია, რომელიც ყველა ფრანგმა ჟურნალისტმა უნდა წაიკითხოს და ღრმად ჩაუფიქრდეს მას“, წერდა ლუი ბლანი ნიკო ნიკოლაძეს, ხოლო მეორე ფრანგი ჟურნალისტი ივ. გიო აღნიშნავდა: „სიტყვის ასეთი ძალა და დამაჯერებლობა ფრანგ ჟურნალისტთა ძალიან მცირე რაოდენობას თუ მოეძებნებაო“.

კითხულობთ ვლ. ზამბახიძის ამ წიგნს და კიდევ ერთხელ ნათლად ხედავთ, რომ საქართველო არასოდეს, და კერძოდ, მე-19 საუკუნეშიც არ ყოფილა მიყრუებული კუთხე მსოფლიოსი, არასოდეს არ ყოფილა პროვინცია, პირიქით, მისი შვილები მუდამ იქ მდგარან, სადაც კაცობრიობის ყველაზე მოწინავე ადამიანები იდგნენ, ისინი, ვინც სახავდნენ ახალ გზებს, სჭრიდნენ ახალ ბილიკებს, ვინც წინ მიუძღოდნენ პროგრესულ კაცობრიობას.

გიორგი ნატროშვილი

გერჰარდ ჰარკენზალი

## თავი მეორე

ვაკეზე ფართოდ გაშლილი სოფელი, სადაც ზატლერი ცხოვრობდა, თითქმის ორი კილომეტრით იყო დაშორებული რაიონულ ცენტრს. აქ უკვე კარგა ხნის წინ ჩამოაყალიბეს ამხანაგური მეურნეობა და მის თავმჯდომარედ მარტინ ჰოფაკერი აირჩიეს. მარტინი ხშირად სხვის აზრს ანგარიშს არ უწევდა, რასაც არც თუ კარგი შედეგი მოსდევდა, ყოველ შემთხვევაში მაშინ მაინც, როცა მაგრად აუწევდა ხოლმე ხმას. ხმის აწევა კი, იცოცხლეთ, ეხერხებოდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, გლეხებმა ხმამაღლა განაცხადეს, რომ მათ არ მოსწონთ ჰოფაკერის მბრძანებლური ტონი; საჭირო გახდა პარტბიუროს მდივნის რუსტოვის ჩარევა, რომ საქმე კეთილად დაბოლოებულიყო. ამრიგად, საყვედურებს ბოლოში მოჰყვა. მაგრამ მარტინს კარგი თვისებებიც ჰქონდა, შეეძლო ხალხის დარაზმვა, თუ შემთხვევა მიეცემოდა, ყოველთვის პირველი იყო, მაგრამ მადლობასა და საქვეყნოდ აღიარებას არ ჰოითხოვდა. თუ რაიმეს გააკეთებდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ეუხერხულებოდა კიდეც, როცა ვინმე საქებარ სიტყვას ეტყოდა.

მარტინის ცოლმა დორამ, მას მერე, რაც ზატლერთან სიარული დაიწყო, თანასოფლელთა თვალში პატივისცემა დაკარგა, თუმცა მამაკაცებს მის დანახვაზე ახლაც აღმოხდებოდათ ხოლმე: „იფ, რა ქალიაო!“ დორას ჰქონდა რაღაც დიდკაცური. ყველა ქალს თავს არ უყადრებდა, ანგარიშიანი არ იყო, მარტო გულის კარნახს ახდევდა და მარტო თავისი კუნაპეტივით შავი თმის და ლურჯი მოციმციმე თვალების იმედი ჰქონდა. ადრე სასიხარულოდ მარტო ის ჰყოფნიდა, ვინმეს ვნებიან მზერას რომ გაიყოლებდა. მაგრამ მამაკაცები ერიდებოდნენ მის აშკარად ქებას, ფიქრობდნენ — ეს მარტინის შეურაცხყოფა იქნებაო.

გეორგ ზატლერი მკვიდრად ნაგები ვაჟკაცი იყო, ქერა თმა და შინაგანი სითბოთი სავსე თაფლისფერი თვალები ამშვენებდა; ამ საკმაოდ გულჩათხრობილ კაცს ჰქონდა იმისი უნარი, რომ ყოველგვარი ცდუნებისაგან დაეღწია თავი.

მაგრამ ვის შეუძლია გაზომოს ძალები, რომლებიც ადამიანში თვლემენ! ვის შეუძლია განსაზღვროს ის უკეთური ლტოლვანი, ერთ მშვენიერ დღეს რომ გადმოინთხევიან და მორალის ყველა მცნებას დაარღვევინებენ ადამიანს. აი, უკვე რამდენი ხანია დორამ დაკარგა სულის სიმშვიდე და ზომიერება, დაკარგა გონივრული განსჯის უნარი. რაღაც დაუოკებელ სიხარულს განიცდიდა იმის გამო, რომ ვიღაც უყვარდა და რაკი ეს შეიცნო, იმის გაფიქრებაც კი აღარ სურდა, რომ ყველაფერი ეს შეიძლება მალე დასრულებულიყო.

და აი, ქალი მათხოვრად იქცა, სიყვარულის მათხოვრად, თითქოს თავმოყვარეობის გრძნობაც დაკარგა. იმასაც კი აღარ აქცევდა ყურადღებას, რომ ხალხი დასცინოდა; ყველამ გაიგო, რომ ზატლერმა მას თავი დააღწია, თუმცა ეს არა სჯეროდათ, რადგან დორა გაცილებით უფრო მაცდუნებელი იყო, ვიდრე მამაკაცებს წარმოედგინათ.

იმ დღეს თითქოს მთელ სოფელს ჩასძინებოდა. ქუჩაში სულიერი არ ჭაჭანებდა. სოფლის თავზე საავდრო ღრუბელი ჩამოწოლილიყო. საკვამურებიდან ამომავალი ბოლი წუნარი ლივლივით მიცურავდა ჭაობიანი მინდვრისაკენ.

დორა ფანჯარასთან იდგა, თითქოს გახევებული და გონებადაკარგული. მას შემდეგ რაც მარტინი ერფურტს გაემგზავრა, ქალი მოუსვენრობამ შეიპყრო. იმიტომ კი არა, რომ გული ქმრისაკენ ელტვოდა: ხშირად უკითხავს თავისი თავისათვის — უყვარდა თუ არა ქმარი და ყოველთვის უარყოფითად უპასუხნია. სახლი რომ დაცარიელდა, თავი მარტოდ იგრძნო და ამას მით უფრო მწარედ განიცდიდა, რაც უფრო მეტს ფიქრობდა ზატლერზე.

ხელები მუცელზე შემოიწყო, იგრძნო როგორ ფათურობდა ბავშვი სხეულში.

ეს მისთვის პირველი იქნებოდა, შედეგი მისი ვნებიანი სიყვარულისა, ამით უნდა აიძულოს მარტინი ჩამოშორდეს, გაათავისუფლოს, რათა სამუდამოდ ზატლერს მიეკედლოს, თუნდაც მას ეს არ უნდოდეს.

თავი ჩაქინდრა და თვალები მოჭუტა. თვალწინ გეორგი დაუდგა, თავისკენ ვნებიანად რომ იხმობდა.

გეორგმა წინა დღეს ისევ გაუმეორა: თავი მომაბეზრე და გშორდებიო. დორამ მისი ახავალ-დასავალი აღარ იცოდა.

---

• გაგრძელება. იხ. „დროშა“, № 5.

უცებ მიხვდა, რომ საცოდავი, მიტოვებული არსება იყო და ყოველივე ამას ძალიან ცუდი დასასრული ექნებოდა.

ფიქრიდან მოხუცი ვიტნაკის ხმამ გამოარკვია, დაკეტილ ფანჯარაშიც კი შორიდანვე რომ ატანდა.

დორამ ფანჯარა გამოაღო. ოთახში სუფთა ჰაერი შემოიჭრა.

— გამარჯობა, დეიდა ვიტნაკ!

— გამარჯობა, შვილო დორა!

— რატომ შინ არ ზიხარ, დეიდა, ხომ ხედავ, ცივა.

— სულ ერთი არ არის, შინ ვიჯდები თუ გარეთ? შეხე, რა ცუდი ამინდია! გული მიგრძნობს, კარტოფილი ისევ მინდორში დაგვრჩება. ნოემბერი სადაც არის გავა.

სხვა დროს დორას სულაც არ სიამოვნებდა ამ მოხუცთან საუბარი, მაგრამ ახლა უხაროდა კიდეც, რომ ცოტათი გაერთო.

— კარტოფილი აქამდეც უნდა დაებინავებინათ, — შეესიტყვა იგი.

დეიდა ვიტნაკმა გაიგონა დორას ნათქვამი, მაგრამ მაშინვე არ უპასუხა. ცერად დაუწყო ცქერა, ცოტა თვალბოროტად და საყვედურით.

— შენი მარტინი ხომ კარგა ხანია წასულია, — რაღაც ორაზროვნად თქვა მან.

დორამ მხრები აიჩეჩა და გაიცინა. ვიტნაკი განაგრძობდა:

— შენ იმისი ჯავრი სულაც არა გაქვს. ახეთი კარგი კაცია და შენ კი...

დორამ გულთან სიცივე იგრძნო. მაშ, ეტყობა, მთელი სოფელი ამაზე ლაპარაკობს, დახეთ, ამ მოხუცმაც სად გადაუკრა სიტყვა!

დორა არც თვითონ იყო უმწეო, ამიტომ თავის დაცვა სცადა.

— ის როგორღა იყო, ფრანცისკა სტეგმანს რომ აეკიდა, — წაუსისინა მოხუცს, — მაშინ არავინ გამოჩნდა, რომ მარტინი შეეხურებინა. მაშ, მამაკაცს ყველაფრის უფლება აქვს, არა?

— ოჰ, ღმერთო! — დაიწყო ვიტნაკმა, — მას აქეთ ხომ დიდი ხანი გავიდა. ქალმა უნდა იცოდეს წესი და რიგი, არ უნდა შეტოპოს, — არიგებდა მოხუცი, თან სულ უფრო უახლოვდებოდა ფანჯარას.

— შვილო, დორა, — წაუჩურჩულა ბოლოს, — ნუთუ გული არა გაქვს, გოგო! ერთი დაფიქრდი, რას უშვრები მარტინს!

დორამ მოხუცს თავს ზემოთ გახედა, მაგრამ მთრთოლვარე ნაცრისფერი ნისლის მეტი ვერაფერი დაინახა. და თითქოს ეს უსახო სინესტე, ყველა ჭუჭრუტანაში რომ ატანდა, მის სულშიც ჩამდგარიყო, უცებ იგრძნო როგორი დაქანცული იყო.

— რა იცი შენ მარტინზე? — ჰკითხა არაქათგამოცლილმა დორამ. — შენ რა იცი, რას აკეთებდა ის წინათ? ეს მე ვიცი და თუ როდისმე ძალიან გაჭირდა საქმე... მაშინ... ეგების, მე მაშინ... — ის გაჩუმდა და ისევ საწვიმრად მოქუშულ სივრცეს გახედა.

ვიტნაკმა ყურები დაცქვიტა. ამ თავშეუკავებელმა და თავქარიანმა ქალმა რაღაც იცის, რაღაც საიდუმლოს ინახავს, რა იცის მან მარტინზე?!

სამწუხაროდ, გამოკითხვისათვის დრო აღარ იყო, ნისლში ვიღაც გამოჩნდა, თანდათანობით ფოსტალიონი შეიცნეს. ეს მორიცი იყო, ცალხელა მორიცი, როგორც მას ეძახდნენ, რადგან მარჯვენა ხელი ომში დაკარგა.

უჩვეულო დროს მოვიდა მორიცი, რადგან ფოსტას, როგორც წესი, სადილობამდე ჩამოატარებდა ხოლმე; ასე იყო დღესაც, და თუ ახლა კვლავ წერილით ხელში გამოჩნდა, რაღაც განსაკუთრებული ამბავი უნდა ყოფილიყო.

ფოსტალიონი ფანჯარასთან ვიტნაკის გვერდით გაჩერდა.

— ეს ნესტი ძვალსა და რბილში ატანს, — მისალმების გარეშე დაიწყო მან. თან დორას ქაღალდი გადასცა.

— ჩემია? — ჰკითხა გაოცებულმა ქალმა.

— დეპეშაა, თორემ ისე არ მოვიდოდი.

მოხუცმა ვიტნაკმა კისერი წაიგრძელა.

— დეპეშაა? — გაიმეორა მან, თუმცა მას არაფერი ეკითხებოდა. თან სულელურად ჩაიხითხითა. — ხედავ, შვილო დორა, როგორი კაცია შენი მარტინი? ალბათ, მოენატრე! ოჰ, ღმერთო, ჩემო! რა ადამიანია!

მორიცი ისევ იმ ადგილას იდგა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რას ელოდა. დორამ ერთი მარკა მისცა.

— რა საჭირო იყო, — თქვა ფოსტალიონმა და ფული შეინახა. მერე ორი თითი ქუდთან მიიტანა და კვლავ ნისლში გაუჩინარდა.

დორა მოხუც ქალს გამოემშვიდობა, ვიტნაკმა მოასწრო და კიდევ ერთხელ

უთხრა, რომ სიყვარულთან თამაში არ ვარგა, რომ შეიძლება ეს ამბავი ცუდად დაბოლოვდეს.

დორას გაახსენდა, რომ რამდენიმე წუთის წინათ თვითონაც სწორედ ასე ფიქრობდა. დუმილით დაუქნია თავი, მერე კი ფანჯარა მიხურა.

დეპეშას დახედა, გეორგის სახელს რომ მოჰკრა თვალი, გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო.

მუხლები მოეკვეთა და იძულებული გახდა დამჯდარიყო. ცივმა ოფლმა დაასხა. მერე ოდნავი შვება იგრძნო და მთელი ტექსტი ჩაიკითხა.

მოხუცმა ვიტნაკმა გადაწყვიტა ფოსტალიონს დასწეოდა. მან მანამდე ირბინა ეზოების გასწვრივ, ვიდრე მორიცის ლანდი ისევ არ შენიშნა. მერე ქშენა დაიწყო, მორიცი გაიგებს და შეჩერდებაო. ფოსტალიონმა ხმაც კარგად გაიგო და ისიც იცოდა, ვინ მოსდევდა, მაგრამ გასაუბრების არავითარი სურვილი არ გამოამჟღავნა და შეუჩერებლად განაგრძო გზა.

მოხუცი, როგორც იყო, დაეწია და მზრუნველი კილოთი ჰკითხა: მარტინი რაიმე ხიფათს ხომ არ გადაეყარაო.

მორიცმა თავი ნელა მიაბრუნა. თვალები ირონიულად უციმციმებდა.

— მაგის იმედი ნუ გექნება! — უთხრა მან.

— ეშმაკმა კი წაგიღოს! განა მე მარტინისათვის რაიმე ცუდი მინდა? — გაბრაზდა მოხუცი.

— დამანებე თავი, — ცივად მიუგო მორიცმა, — იმედი ნუ გექნება, რომ რაიმე დამცინცლო. დიახ, ასეა! ახლა შინ წადი და ეგ გაყინული ფეხები მოასვენე.

მოხუცს ცნობისმოყვარეობა ახრჩობდა; ისე უნდოდა დეპეშის შინაარსის გაგება, რომ მზად იყო დორას საწოლს ქვეშაც კი შემძვრალიყო, ეგებ ქალს რაიმე წამოსცდესო.

ფოსტალიონს თავი მიანება და უკან გამობრუნდა. ის იყო ჰოფაკერის ეზოს მიუახლოვდა, რომ დორა ჰიშკრიდან გამოვიდა, თან ველოსიპედი გამოიტანა და სახლის კედელს მიაყუდა.

მოხუცი მოიკუზა და სუნთქვაშეკრული ისე აეკრა ფესვმაგარ ცაცხვს, თითქოს მის ნაწილად იქცაო.

დორამ კარი დაკეტა და ველოსიპედს მოახტა. არც შეუნიშნავს, რომ უთვალთვალებდნენ.

გაბრაზებული ვიტნაკი დაემუქრა.

— თავქარიანი, წყეული! მუხებისაკენ მიდის, ვიცი, რაც სწადიან, დასხდებიან ორივენი და მარტინის დეპეშაზე იცინებენ. რა ხალხში ვცხოვრობთ! ფუი, ეშმაკს!

ეკლესიის ზარმა ხუთისნახევარი დარეკა, მისი ხმა მსუბუქ ღრუბლებში ირხეოდა და ყრუდ იკარგებოდა. დორა სოფლის ოღროჩოღრო გზას დაადგა. ნისლს ხეები და ბუჩქები მთლად დაეფარა. ხანდახან, როცა ველოსიპედი რყევას დაიწყებდა, ტალახში ფეხით მოძებნიდა საყრდენს, მერე კი კვლავ წინ უბიძგებდა.

მუხის ხეები მანამ ვერ შენიშნა, სანამ ზედ არ წაადგა; ირგვლივ სიჩუმე გამეფებულიყო. ასეთი ჩუმი მხოლოდ ბუნება შეიძლება იყოს. მტანჯველია სიჩუმე, როცა ადამიანი მარტოა და მეორე ადამიანს ეძებს.

ველოსიპედი ხეს მიაყუდა.

ზატლერმა დაიგვიანა, მაგრამ მოვა, მერე კი სწორედ ეს მარტოობა იქნება მისი სიყვარულის საფარი.

რაკი ნისლი იდგა, გეორგი, ალბათ, შეუმჩნევლად მოვიდოდა, და უცებ მოეხვეოდა.

დორამ თავი უკან მიაბრუნა, და ის იყო, მამაკაცის ხელები სწრაფად შემოეჭდო მის ყელს.

დაკივლებაც ვერ მოასწრო, მხოლოდ თვალებში ჩამდგარიყო სულ ახლოს მოსული სიკვდილის საშინელება, და უსიტყვო შეკითხვა — „რატომ?" ირგვლივ გაშლილი ნისლის საბურველი თანდათან მუქდებოდა და ბოლოს სულ ჩამობნელდა.

ქალი უკანასკნელად შეტორტმანდა და წაიქცა. ველოსიპედიც გადმოყირავდა და ზედ დაეცა.

ეს მოხდა ცოტათი ადრე, სანამ ხუთი საათი შესრულდებოდა.

## თავი მესამე

„მებაღეობის საერთაშორისო გამოფენის" შესასვლელში ისეთი ხალხმრავლობა იყო, რომ მარტინ ჰოფაკერი თავის თანამგზავრებს ასცდა და, როგორც ამ შემთხვევისათვის დათქმული ჰქონდათ, მათ ახლა ტაქსის გაჩერებასთან ელოდა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, მაგრამ ისინი მაინც არ ჩანდნენ.

მარტინმა პალტო გაიხსნა. კოსტუმის შიდა ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო, იქიდან ერთი სიგარა ამოაძრო, წვერი მოაკვნიტა და სამჯერ თუ ოთხჯერ სცადა მოეკიდებინა.

ხელები ისევ პირთანა ჰქონდა მიტანილი, როცა ვიღაცამ სიცილით ბეჭებზე ხელი დაარტყა. ჰოფაკერმა თავი მიაბრუნა.

— რუსტოვ... კარლ, — გაასწორა თვითონვე, — სად დაიკარგეთ?

— აბა, ჯერ მოუკიდე! — მიუგო რუსტოვმა და ცეცხლი გაუწოდა.

— დიდი მადლობა! — ჰოფაკერმა ორი ღრმა ნაფაზი გააკეთა.

— მშვენიერი ბალახია, არა? — ჰკითხა რუსტოვმა, თვითონ რომ არ ეწეოდა.

— მერე მხოლოდ ოთხმოცი პფენინგი ღირს, — განუმარტა ჰოფაკერმა.

— კარგა ძვირი ყოფილა! — დაუფიქრებლადა თქვა რუსტოვმა.

ჰოფაკერმა თავი დაუქნია. ამასობაში სხვებიც გამოჩნდნენ — ჰაგენოვი, შრინერი, ლემკე და ბაუმანი. შრინერი და ლემკე თავიანთი მოხრილი მხრებით უკვე სამოც წელს მიათრევდნენ. ისინი მებაღეობის ბრიგადის წევრები იყვნენ. ოცდაათი წლის ჰაგენოვი მემინდვრეობის ბრიგადირი იყო, ბაუმანი კი, ამ ჯგუფში ყველაზე უფრო ახალგაზრდა, — ოცდახუთი წლისა, — მეცხოველეობაში მუშაობდა. რუსტოვი თავის აგრონომიულ საქმიანობას პარტბიუროს მდივნის ფუნქციებსაც უთავსებდა.

მოხუცი შრინერი მაშინვე აბუზღუნდა —რატომ დაგვეკარგეო.

— იცით რა, — დაიწყო რუსტოვმა, — ჩვენ აქ ხომ არ ვაპირებთ გამოზამთრებას. ჰოდა, სადმე შევიდეთ, რას იტყვი, მარტინ? — და ჰოფაკერს კითხვით შეხედა.

— მე ერთ ძველ ნაცნობთან უნდა წავიდე შლუმბახში, — უპასუხა მარტინმა, — ვახშმობისათვის დავბრუნდები. რესტორან „კუნწულაში" შევხვდეთ ერთმანეთს, არა?

— როგორ უნდა წახვიდე შლუმბახში? — ჰკითხა ბაუმანმა. — ბევრი არაფერი დადის აქედან.

— ავტობუსი? — იკითხა ჰოფაკერმა.

— არ დადის.

— ჰოო, სხვა რამეს ვიშოვი.

მარტინი ტაქსს გაჰყვა, თვალს რომ მიეფარა, რუსტოვმა თქვა:

— ზატლერი უნდა წამოეყვანა, სისულელე ჩაიდინა.

— მართალი ხარ, იმას ხომ დორასთან აღარაფერი აქვს საერთო, — დასძინა ბაუმანმა.

ლემკე არ დაეთანხმა, თუმცა რაიმე არსებითი არაფერი იცოდა, მაგრამ მაინც განაცხადა — ზატლერი სანდო კაცი არ არისო.

— სწორედ მაგიტომ უნდა წამოეყვანა, რომ კვლავ არ შეხვედროდნენ ერთიმეორეს და ხელახლა არ დაწყებულიყო ჭორები. არა, აქ რაღაცა სხვა ამბავია.

რუსტოვმა ამოიხვნეშა, მერე უმწეოდ გაიღიმა:

— აღარ ვიცი, რა გზას დავადგე.

— დაიცათ, ჯერ სადა ხართ, აწი ნახეთ, თუ დორამ პატარა ზატლერი დაიჭირა ხელში... — სწორედ მტკივნეულ ადგილზე დააჭირა ფეხი შრინერმა.

— რას ლაპარაკობს ეს ბებერი! — გაჯავრდა რუსტოვი.

— არა, რა თქმა უნდა, მარტინთან ამას არ ვიტყვი, — შრინერმა თავის მართლება დაიწყო.

— მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ჩვენც გვეხება, — თქვა ლემკემ.

— კარგი იქნებოდა სალაყბოდ უფრო მყუდრო ადგილი მოგვეძებნა, — წამოაყენა წინადადება რუსტოვმა.

მახლობლად პატარა, სასიამოვნო სასადილო მონახეს და იქ გააგრძელეს საუბარი. ყველა გრძნობდა, რომ ასეთი საუბარი უკვე საჭირო იყო, მაგრამ შინ ყოფნისას იმდენი წინასწარ გაუთვალისწინებელი საქმე გამოუჩნდებოდათ ხოლმე, რომ დრო სულ აღარ რჩებოდათ.

ერთხანს ჩუმად იყვნენ და იქ მყოფ ხალხს ათვალიერებდნენ. მერე თითო კათხა ლუდი რომ დასცალეს, ჰაგენოვმა დაიწყო:

— ხანდახან კაცი იფიქრებს, რომ საჭმელი უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე ადამიანი.

— სწორეა, — დაურთო ბაუმანმა, — აბა, ისე შიმშილით დავიხოცებოდით, ამ ხუმრობაზე არავის გაუცინია, საქმე მეტად სერიოზული იყო. ყველა ხედავდა, როგორ იტანჯებოდა ჰოფაკერი ცოლის ღალატის გამო და მაინც ამაზე სიტყვაც არ დასცდენია. ეგებ ყველაზე უფრო ცუდი სწორედ ეს იყო. ახლა როგორ გინდა მიახვედრო, რომ უთანაგრძნობ, მხარს უჭერ. კაცი დადუმებულია.

ლემკემ ჩვეული სიფრთხილითა თქვა:

— სიყვარულში სასამართლოს აღმასრულებლის ჩარევა არ შეიძლება. ცოლქმრობა კი სიყვარულია და მეტი არაფერი, და თუ სიყვარული გაქრა, მაშინ ცოლქმრობაც აღარ არსებობს.

— მაშ, შენი აზრით, მარტინს აღარაფერი ეშველება? — ჰკითხა რუსტოვმა.

ლემკემ თავი დაუქნია.

— სწორედ მაგას ვფიქრობ. რას უშველის ზატლერის გვერდზე გადგომა, თუ დორა ისე დასდევს მას, როგორც ეშმაკი შემცოდე ადამიანის სულს? ანდა ვინ იცის, რომ ხვალ ფილიპი, ზეგ კი ანტონი არ ერჩმევა მას, ვისაც დორა აეკიდება.

— სიმართლე გითხრათ, ასეთი არ მეგონა ეგ ქალი! — დაფიქრებითა თქვა რუსტოვმა. შემდეგ კი კვნესით დაუმატა: — ეგრეა, ადამიანის გამოცნობა ძნელია!

— რაზე ამბობ მაგას? — ჰკითხა შრინერმა.

ჰაგენოვი ლუდის კათხას ათამაშებდა. მას დიდხანს ფიქრი უყვარდა, მაგრამ რასაც იტყოდა, ჭკვიანურად იყო ნათქვამი და მეგობრებსაც მისი სჯეროდათ.

— მე მარტინზე ვფიქრობ. ჩვენ სულ იმის ლოცვა-კურთხევაში ვართ, მაგრამ მთლად უდანაშაულო არც ის არის, რომ დორა ასე... ცუდად ნუ გამიგებთ. განა ყოველთვის სწორად იქცეოდა თვითონ მარტინი? გახსოვთ, ფრანცისკას რომ გადაეკიდა? თუ იგი სახლშიც ისე იქცევა, როგორც ხანდახან კრებებზე, მაშინ ყველაფერი გასაგებია, ამას ასეთი ბოლო უნდა მოჰყოლოდა.



— ახლა მოვრჩეთ! — თქვა რუსტოვმა, — ჩვენ მალე შინ წასვლა მოგვიხდება, უმჯობესია, ერფურტი დავათვალიეროთ.

ქალაქში გაისეირნეს. არც აქ იდგა უკეთესი ამინდი, ჟინჟღლავდა. როცა ქუჩებში ხეტიალით დაიღალნენ, „კუნწულასაკენ" გასწიეს. რესტორანში სწორედ ვახშმობის დროს შევიდნენ.

— მარტინი, ეტყობა, დაიგვიანებს. ნუ დაველოდებით, — თქვა ჰაგენოვმა.

— მართალი ხარ! — ნაჩქარევად დაურთო შრინერმა, — ისე ძალიან მომშივდა, სამ ცალ ტიურინგულ ცხელ ძეხვს ერთად გადავხანსლავ.

მადიანად შეექცეოდნენ, თან ლუდს აყოლებდნენ. შრინერი პირს აწკლაპუნებდა და ხელის ზურგს ტუჩებზე ისვამდა.

— ხასიათს გიკეთებს კაცს!

— რა, ლუდი? — ჰკითხა რუსტოვმა და თან თვალი ჩაუკრა, რადგან იცოდა, რომ ცოლი მას ბევრი სმის უფლებას არ აძლევდა.

— ეგეც! — თამამად უპასუხა. — და საერთოდ ყველაფერი, რაკი ნეხვის სუნი არა გცემს...

— აბა, აბა, აუგუსტ! — გააწყვეტინა ბაუმანმა.

და ის იყო, მაგიდას სახალხო პოლიციელი მოუახლოვდა და რუსტოვი იკითხა.

რუსტოვმა ქვემოდან ახედა. მერე წამოდგა.

— მე ვარ, — უთხრა მან, — რა გნებავთ?

— შეიძლება ერთ წუთს?..

— სიამოვნებით! — რუსტოვმა სკამი მიუწია, მაგრამ ახალგაზრდა პოლიციელმა უარი თქვა.

— ცალკე მინდა მოგელაპარაკოთ.

დანარჩენები ყურადღებად იქცნენ. ამ კაცს ცალკე უნდა ლაპარაკი პარტბიუროს მდივანთან.

— მარტინი ხომ არ დაიჭირეს? — ჩურჩულითა თქვა ბაუმანმა.

— ეგებ მანქანას დაემართა რამე? — წამოიძახა შრინერმა.

ლემკემ მხრები აიჩეჩა და ეჭვიანად თქვა:

— მერე ეგ რა საიდუმლოა?!

— ან ეგებ ვინმე გაქურდეს?

ეს შრინერმა წაიჩურჩულა, არავინ არ გამოპასუხებია.

ჰაგენოვს არაფერი უთქვამს. ის ისევ რუსტოვს აკვირდებოდა და შენიშნა, როგორ უცებ მოეღუშა მას სახე.

ეტყობოდა, საუბარი დაამთავრეს, სახალხო პოლიციელმა გამოთხოვების ნიშნად ხელი ქუდთან მიიტანა, მაგიდასთან მსხდომთაც თავი დაუქნია და რესტორანი დატოვა.

რუსტოვი გახევებული იდგა, მან დაბნეულად გააყოლა თვალი ახალგაზრდა პოლიციელს; ტუჩებმოკუმული და მხრებაწურული, თითქოს რაღაცისაგან იცავდა თავს.

შრინერმა ველარ მოითმინა:

— ჰა, ბიჭო, თქვი რა მოხდა?

რუსტოვი შეკრთა და სახე მათკენ მოატრიალა. ახლა დანარჩენებმაც შენიშნეს, როგორ დაჰკარგვოდა ფერი.

— თქვი, რაღა! — არ ეშვებოდა შრინერი.

რუსტოვი ისევ თავის ადგილზე დაჯდა. მერე ჭიქა აიღო და ბოლომდე გამოსცალა. მაინც არა თქვა, თუ რა უთხრა მას სახალხო პოლიციელმა.

ერთი არაყი შეუკვეთა.

— მე მგონია, ერთს ვისმეს კიდევ წაიყოლებს თან! — თქვა მან ბოლოს.

— რაო, რაო? —იკითხა დაბნეულმა ჰაგენოვმა.

— დორა ჰოფაკერი მოუკლავთ.

ყველანი მას მიაშტერდნენ. არავის ჰქონდა საბაბი, არ დაეჯერებინა, მაგრამ მაინც განცვიფრებულები იყვნენ.

— დაუხრჩვიათ, — დაუმატა რუსტოვმა. — ჩვენმა სახალხო პოლიციამ ტელეგრაფით გადმოსცა... მაგრამ... — უნებლიეთ უწყდებოდა სიტყვა რუსტოვს.

— მარტინს არ უნდა უთხრა? — ჰკითხა ბაუმანმა.

— ვინ იცის, როგორ შეხვდება ამ ამბავს მარტინი.

— მხოლოდ ამის გამო არ გინდა გააგებინო? — სრულიად დამშვიდებით ჰკითხა ჰაგენოვმა.

რუსტოვს სახე დაუმშვიდდა.

— არა, ამიტომ არა, — უპასუხა მან, — მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიცი, როგორ დავიწყო.

— მერედა ვინ იყო ის? — იკითხა შრინერმა.

— ადამიანის შვილი! — მიუგო რუსტოვმა.

— ჰო, კარგი! — თქვა შრინერმა და ხანმოკლე უხერხული სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — გეორგი ხომ არ იქნებოდა?

პასუხი ვერ მიიღო.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ჰოფაკერიც დაბრუნდა. მეგობრები ისეთი მოწყენილი ნახა, გეგონებათ, მოსავალს სეტყვამ გადაუარაო.

— რას დაღონებულხართ?! — გაოცებით იკითხა მან.

რუსტოვმა მწარედ გაიქნია თავი.

— კარტოფილზე გვქონდა ლაპარაკი. როდემდის დავტოვოთ მინდორში.

— უკვე აღარაფრის მომიზეზება აღარ შეიძლება! — მხარი დაუჭირა ჰოფაკერმა, — ყოველთვის წვიმას ვაბრალებდით. ახლა კი საქმეს უნდა მივხედოთ.

ჰოფაკერმა ირგვლივ მიმოიხედა და დაუმატა:

— ძალიან მიხარია, რომ შინ მივდივართ.

## თავი მეოთხე

დანიელ ისააკი შარაგზაზე თავისი ურმის გვერდით მიაბოტებდა. სახოფლო ამხანაგობისათვის მინერალური სასუქი მოჰქონდა. ტყეზე უნდა გამოევლო. რევმატიზმი აწუხებდა, სიარული უჭირდა, და თანაც ერთიანად გათოშილიყო. ნისლს გადაეყარა და ახლაც ცრიდა. უკვე ღამდებოდა, ადამიანიცა და მხეციც თავის ბინისაკენ მიიჩქაროდა, ისააკმა იფიქრა თხმელას რამდენიმე წკეპლას მოვჭრი, კალათის დასაწნავად გამომადგებაო.

თავის ცალთვალა ცხენს ლიზეს შეუძახა:

— დრრრ, შე ძველო!

ლიზემ თავი მოაბრუნა და დაიჭიხვინა.

— მაგას თავი დაანებე, — წყნარად უთხრა ისააკმა, გეგონებოდათ მეზობელს ესაუბრებოდა, — კარგად დაიმახსოვრე: რაც უფრო გვიან მიირთმევ, საჭმელი მით უფრო გემრიელია.

ცხენი ალვირით ხეზე გამოაბა, ჯიბიდან დანა ამოიღო, მინდორი გადაჭრა და მუხებისაკენ გაემართა.

უცებ შეჩერდა, თვალები მოჭუტა, კვლავ დაიხედა დაბლა. რაღაც შავი, უფორმო საგანი ეგდო, და ჯერ ვერ გაეგო რა იყო.

ფეხი ახწია და ფრთხილად მიარტყა. ველოსიპედი აღმოჩნდა. თუმცა ფეხი მაგარ ლითონს კი არ მოხვედრია, არამედ ადამიანის სხეულს.

ისააკი დაიხარა. ხელები მაღლა ასწია და ხმამაღლა, გამგმირავი ხმით დაიყვირა, დორას სახელი დაიძახა.

ქალი უძრავად ეგდო. მოხუცი ისააკი, რომელსაც უკვე დავიწყებოდა, თუ რისთვის წამოვიდა აქეთ, მიხვდა, რომ ქალი ცოცხალი აღარ იყო. ქუდი მოიხადა და ერთ წუთს გვამის წინ გაშეშებული იდგა.

მოხუცმა აკანკალებული თითები მოუფათურა სახეზე. მას დაჯერებაც არ უნდოდა, რომ ეს სწორედ იმ დორას სახე იყო, ვის გარშემოც ამდენი ხმაური იყო ატეხილი. უკვე საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ მოხუცს ეჩვენებოდა, რომ საშინელებას პირდაპირ თვალებში უყურებდა.

სხეულში მძაფრმა ტკივილმა გაჰკრა, უკან გამობრუნდა, ეშინოდა, მძიმედ და ფრთხილად მოაბიჯებდა, უცებ წაიფორთხილა და მთელ სიგრძეზე გაიშოტა.

ლიზეს თავის სიცოცხლეში არ მოხვედრია მათრახი ისე მაგრად, როგორც ახლა. ცხენი დაფეთებული წამოვიდა.

დორას სიკვდილის ამბავი მთელმა სოფელმა შეიტყო.

სულ მალე ბურგომისტრი ალტენდორფი და უბნის რწმუნებული, სახალხო პოლიციელი ჰენზელი მუხებისაკენ მიეშურებოდნენ.

სიბნელეში ნელ-ნელა სინათლის სხივი გამოკრთა. ეს ექიმ ვაგემანის მანქანის ფარები იყო. იგი უკვე მუხებთან იცდიდა.

ექიმი ჩუმად მიესალმა ორივეს.

— დორამ ეს როგორ ჩაიდინა? — იკითხა ალტენდორფმა, როცა ველოსიპედის ქვეშ დაგდებული სხეული დაინახა.

— საოცარია, — თქვა ჰენზელმა, მერე უცებ მიმოიხედა — მაგრამ ეს თვითმკვლელობას არა ჰგავს!

— სამწუხაროდ, თქვენ მართალი ხართ, — დაუმოწმა ექიმმა, — აქ დააკვირდით! — და ჯიბის ნათურა დორას ყელზე მიანათა.

— დაუხრჩვიათ! — წამოიძახა ჰენზელმა, მერე ბურგომისტრს მიუბრუნდა:

— ალტენდორფ, ჰქენი სიკეთე და აქ დარჩი. მე კი ოლქში, პროკურორს შევატყობინებ.

— მაშ წადი, რაღას უცდი, — უთხრა მოქანცული ხმით ალტენდორფმა.

— მაშ მოკლეს! — და თავში საოცარმა აზრმა გაუელვა, — შეიძლება მარტინს გაუხარდეს კიდეც.

(გაგრძელება იქნება).

გერმანულიდან თარგმნა
**ვენერა შინდაგორიძემ.**

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# მოზაიკა



## ჟურნალისტი იცვლის პროფესიას

გაზეთმა „ნიუ-იორკ-უორლდ ტელეგრამ ენდ სანმა“ თავის კორესპონდენტს მიშელ მოკს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი დავალება მისცა — გამოეცვალა პროფესია და შემდეგ დაეწერა ნარკვევი. მაგრამ უჩვეულო ის იყო, რომ ამჯერად ჟურნალისტი დახლთან კი არ დადგებოდა, არამედ მას თავი უნდა მოეგიჟიანებინა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შეეღწია და იქიდან რეპორტაჟები გადმოეცა.

რედაქციის ორმა თანამშრომელმა პოლიციას აცნობა, რომ მიშელ მოკმა თავი 18 წლის კინოვარსკვლავის მიშელ ტრიოლოს შვილად გამოაცხადა. ეს ცნობა საკმარისი გამოდგა, რომ შუახანს მიტანებული კორესპონდენტი კინგსის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოეთავსებინათ.

მიშელი მუშაობაში ჩაეფლო. ექიმები არაფერს უშლიდნენ მშვიდ პაციენტს, რომელიც თავჩაქინდრული იჯდა კუთხეში და მუხლებზე დადებულ ბლოკნოტში გაფაციცებით იწერდა რაღაცას.

რამდენიმე დღის შემდეგ მიშელ მოკი ექიმთან გამოცხადდა, ყველაფერი დაწვრილებით აუხსნა და საავადმყოფოდან განთავისუფლების ნებართვა სთხოვა.

ექიმმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და მხარზე ხელი მოუთათუნა პაციენტს.

—თქვენ აცხადებთ, რომ ჟურნალისტი ბრძანდებით? მერე რა, აქ არაფერი არ არის გასაკვირი... საავადმყოფოში ჩვენ უკვე გვყავს ორი ჰომეროსი, ორი გოეთე, ოთხი ნაპოლეონი, სამი ატილა, და თქვენ წარმოიდგინეთ იესო ქრისტეს ორი ალალი ვაჟიშვილიც კი...

მიშელ მოკმა მაინც მოახერხა საავადმყოფოდან გასვლა. კორესპონდენტის რეპორტაჟებში შემზარავად არის ასახული თვითეულ პალატაში მოთავსებული 150 სულით ავადმყოფი ადამიანის ცხოვრება. რეპორტაჟებში აღწერილია ნარკომანებთან ერთად მოთავსებული 13-14 წლის ბიჭუნები თანდათან როგორ ეჩვევიან ნარკოტიკებს, როგორ საშინელ პირობებში ცხოვრობენ მეძავებთან ერთად ერთ პალატაში შეყრილი გოგონები. ერთ-ერთ რეპორტაჟში, რომლის სათაურია „საავადმყოფოში მოხვედრა უფრო ადვილია, ვიდრე იქიდან გამოსვლა“, ავტორი აღწერს იმ ტრაგიკულ სიტუაციას, რომელშიც ექცევა ჯანმრთელი, ანდა გამოჯანმრთელების გზაზე დამდგარი ადამიანი, როცა იგი ცდილობს თავი დააღწიოს ამ ჯოჯოხეთურ შენობას.



## ლინკოლნის სილაქი

1831 წელს, ქ. ახალი ორლეანის (აშშ) ერთ-ერთმა გავლენიანმა მოქალაქემ და მსხვილმა მიწათმფლობელმა მაკდენმა შეიტყო, რომ ქალაქში ჩამოვიდა აბრამ ლინკოლნი, რომელიც შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა. მაკდენმა ლინკოლნი მეფის ქუჩაზე მდებარე მონებით მოვაჭრეთა ბაზარში მიიწვია. ზანგი მონების სარფიანად გაყიდვის შემდეგ მაკდენმა აზიიდან ჩამოყვანილ 16 წლის მონა გოგონას უბრძანა, რომ იგი ბაზრის ფიცარნაგზე შემდგარიყო. როცა მყიდველებმა შედარებით მცირე თანხა შეაძლიეს, მაკდენი გაბრაზდა, მონას ტანსაცმელი შემოახია და შესძახა: „აბა შეხედეთ, ეს სილამაზე განა უფრო მეტი არ ღირს!“

ამ შემზარავმა სურათმა ლინკოლნი აალელვა. მან სილაქი გააწნა მაკდენს და აუქციონს გაეცალა.

ძნელია იმისი თქმა, თუ რა როლი შეასრულა ამ შემთხვევამ აბრამ ლინკოლნის იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომ რადაც არ უნდა დასჯდომოდა, აუცილებლად გაეუქმებინა მონობით ვაჭრობა. ამერიკელი ხალხის დიდმა შვილმა ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მხოლოდ 31 წლის შემდეგ შესძლო.

მეფის სახელობის ქუჩაზე ახლა სახალხოდ აღარავინ ხდის მონებს სამოსს, კაპიტალისტებმა კანიბალიზმს ახალი, XX საუკუნის ცივილიზაციისათვის შესაფერისი ფორმა მოუძებნეს. ქალიშვილი-მონები დღეს უხილავი ბორკილებით არიან დაკავშირებულნი ბარებისა და ღამის სახლების მფლობელთა სეიფებთან. ისინი სულმოუთქმელად ცეკვავენ ბუფეტების დახლებზე და მოდური ჯაზური მუსიკის აკომპანიმენტზე სახალხოდ თვითონვე იხდიან ტანსაცმელს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## საპნის ქურდი აბანოში

სასამართლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — ეს არის უაღრესად რთული მანქანა და მხოლოდ გამოცდილმა იურისტებმა იციან, თუ როგორ მოძრაობს მისი ბორბლები. სხვადასხვა შტატებში და ქალაქებში მოქმედი უცნაური კანონები ხშირად იძლევიან იმის საშუალებას, რომ დაინტერესებულმა პირმა არივ-დარიოს თვით უაღრესად ნათელი საქმეც კი და ყველაფერი თავის სასარგებლოდ შემოატრიალოს.

როგორი კანონები არ არსებობს ამერიკაში! აიოვას შტატის ქალაქ ფორტ-მედისონში მეხანძრეებს უფლება არა აქვთ ცეცხლის ჩაქრობა დაიწყონ მანამდე, ვიდრე შემთხვევის ადგილზე 15-წუთიან წვრთნას არ ჩაატარებენ. ქალაქ სან-სოლტ მარიში (მიჩიგანის შტატი) მკაცრად ისჯება ის მოქალქე, რომელიც გაბედავს და ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით გადააფურთხებს. არიზონის შტატში არსებული კანონის მიხედვით, საპნის ქურდს მიუსჯიან ხოლმე აბანოში გაგზავნას, სადაც მან იქამდე უნდა იბანოს, ვიდრე მოპარული საპონი მთლად არ დაილევა. ქალაქ ლუისვილში (კენტუკის შტატი) არსებობს კანონი — ქალი, რომელიც საბანაო კოსტუმს ჩაიცვამს, მოვალეა თავის დასაცავად ხელში მათრახი დაიკავოს და ისე გავიდეს პლაჟზე.

მოზაიკა

გარეკანის პირველ გვერდზე: ნონა გაფრინდაშვილი — მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის. მეოთხე გვერდზე: ქედის რაიონი. სოფ. მახუნცეთი, თამბაქოს პლანტაციაში. ფოტოები თენგიზ ფრცხვანიძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 10/II-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/V-69 წ. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3 პირობით ნაბეჭდი ფურცელი 4,2. ტირაჟი 43.700. შეკვ. № 1457. უე 02193.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина. 14.





## საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატებიდან



ფოტო თ. არჩვაძისა.





ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა